სამედიცინო გაზეთი

PER TRADITIONES AD FUTURUM

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა
გამოდის 1957 წლიდან
№5 (303) მაისი, 2017 წელი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი – ასე ხედავენ და აფასებენ

რონელ იაკობი თავისი ალმა-მატერის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, შესახებ

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით 18 მაისს, უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსების ეზოში ჩატარდა Festival Of Colours.

ღონისძიება იყო მასშტაბური, სადაც მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის უცხოელი და ქართველი სტუდენტები, ჩვენი ბენდი და მოცეკვავეები. ეს ზეიმი, რომელიც ტრადიციულია ინდოეთისთვის, ორგანული გახდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვისაც.

ჩვენი ალმა-მატერი მართლაც ჩვენი მეორე ოჯახია, სადაც თავს ისე ვგრძნობთ, როგორც მშობლიურ გარემოში. ყოველდღიურად ვხედავთ, რა თბილი დამოკიდებულება აქვთ ჩვენ მიმართ ქართველ სტუდენტებს, შეუძლებელია, არ დაინახო და იგრძნო კეთილგანწყობა, სიყვარული და მუდმივი მხარდაჭერა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისგან. აქ არა მარტო განათლებას ვიღებთ, რომელიც მომავალი წარმატებული კარიერის საფუძველია, არამედ – სიყვარულის და ერთგულების მაგალითსაც.

ამიტომაც მარადიულად დარჩება ჩვენს გულსა და გონებაში ჩვენი ალმა-მატერი, ჩვენი მშობლიური უნივერსიტეტი.

წლევანდელი კურსდამთავრებულებისთვის კიდევ ერთი ამაღელვებელი, მშვენიერი თავგადასავალი დასრულდა თსსუ-ში. თსსუ-ის ინტერნაციონალური ოჯახის წევრებმა დაამთავრეს უნივერსიტეტი. 19 მაისს ამასთან დაკავშირებული ღონისძიებაც მოეწყო. სევდასთან ერთად ჩვენ აღვსილნი ვართ ენთუზიაზმით და სიხარულით. ბევრი სტუდენტის მშობელი ჩამოვიდა კიდეც საქართველოში ნიგერიიდან, ინდოეთიდან, შრი-ლანკადან ამ დასამახსოვრებელი დღის გამო.. პროფესორებმა მოგვილოცეს უკვე ყოფილ სტუდენტებს, შემდეგ კი თვითმმართველობის დაგეგმილ ბევრ სახალისო აქტივობაში მივიღეთ მონაწილეობა. ჩატარდა კონცერტი ბენდისა და მსოფლიო ცეკვების შემსრულებლების მონაწილეობით. ვიმედოვნებთ, რომ უფრო მეტი და მეტი უცხოელი სტუდენტი ჩამოვა თსსუ-ში, ჩვენსავით შეუყვარდება საქართველო და აქ გაატარებს თავისი ცხოვრების საუკეთესო პერიოდს – სტუდენტობას.

რონელ იაკობი,
სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი,
თსსუ-ის კურსდამთავრებელი

60 წელი თქვენ გვერდით

იდგა 1957 წელი... თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი დამოუკიდებლად არსებობის 27 წელს ითვლიდა... მის სასწავლო, სამეცნიერო თუ სამკურნალო საქმიანობას სჭირდებოდა აღნუსხვა, წარმოჩენა, გაანალიზება... იმჟამინდელმა დოცენტმა, საბჭოთა კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრმა, გივი (გოლა) ხვედელიძემ ინსტიტუტის ხელმძღვანელობის წინაშე დააყენა საკითხი და გადაწყდა კიდეც დაარსებულიყო მრავალტირაჟიანი გაზეთი სახელწოდებით – „მედიცინის მუშაკი“. გაზეთი თავდაპირველად ორგვერდიანი იყო, პირველი რედაქტორი კი გახლდათ იმ დროისთვის ცნობილი ჟურნალისტი გურამ სამსონაძე.

მაშინდელი პატარა, ორგვერდიანი გაზეთის გაცნობაც დაგარწმუნებთ, თუ რამდენი მნიშვნელოვანი მოვლენა აღუნუსხავს მის ფურცლებს. 1958 წელს, გაზეთი ოთხგვერდიანი გამხდარა. ბ-ნი გურამ სამსონაძე, ცენტრალურ პრესაში ინაცვლებს, ხოლო „მედიცინის მუშაკის“ რედაქტორად ქ-ნი მერი შველიძე ინიშნება. გაზეთის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ქ-ნ ნუნუ კაკუშაძეს და ბ-ნ ჯონდო გაფრინდაშვილს. 1980 წლიდან გაზეთის რედაქტორი ხდება ჟურნალისტი დალი გაბეშია.

გაზეთი წერილები და სტატიები როდია მარტო, რომ არა ფოტოკორესპონდენტები (ვიტალი დვალი, გრიგოლ და ალექსანდრე ტამბუღლოვები) გაზეთი ვერ შემოინახავდა ბევრ საინტერესო ფაქტს თუ მოვლენას.

დროის ცვლილებასთან ერთად, იერს იცვლიდა გაზეთიც, 1992 წელს იგი რვაგვერდიანი გახდა და ეწოდა „სამედიცინო გაზეთი“, რომელმაც ბევრი შემოგვინახა უნივერსიტეტის ისტორიის შესახებ. იგი უნივერსიტეტის ერთგვარი გზამკვლევი გახდა აწმყოსა და მომავალში. გადაშლი და... მთელი ეპოქაა: სტუდენტთა თაობები იზრდებოდნენ მასთან ერთად.

ამ ხნის განმავლობაში არსებული პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური კატაკლიზმების მიუხედავად გაზეთს არ შეუწყვეტია არსებობა და მის გვერდებზე აისახებოდა უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო საქმიანობა, კლინიკური მიღწევები, სტუდენტური ცხოვრება...

გაზეთთან თანამშრომლობდნენ დიდი მეცნიერები და არაჩვეულებრივი პიროვნებები, რომლებიც ქმნიდნენ ქართული მედიცინის ისტორიას და რომლებთანაც ურთიერთობა განსაკუთრებული პატივი გახლდათ ჩვენთვის...

2017 წელს, გაზეთს 60 წელი შეუსრულდა... მასთან ძველებურად თანამშრომლობენ ჩვენი უნივერსიტეტის სახელოვანი პროფესორ-მასწავლებლები, კურსდამთავრებულები, სტუდენტები... დღესაც „სამედიცინო გაზეთი“ ჩვენი უნივერსიტეტის აკადემიური კოლექტივის, ახალგაზრდების შეხედულებათა განსჯის, ტკივილის და სიხარულის პირუთვნელი ამსახველია. იგი ცდილობდა და ცდილობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის – ამ დიდი ოჯახის – წარმატებას თუ სატკივარს დროულად გამოეხმაუროს... გაზეთის ამჟამინდელი რედაქცია მადლიერებას გამოხატავს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისა და იმ ადამიანების მიმართ, რომელთა მხარდაჭერის და თანადგომის გარეშე გაზეთი ვერ იარსებებდა და „სამედიცინო გაზეთის“ საიუბილეო თარიღს ულოცავს ყველას, ვისთვისაც მნიშვნელოვანია გაზეთის როლი უნივერსიტეტის საქმიანობის, მისი წარმატებების თუ ეპოქის თანადროული მიღწევების წარმოჩენაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაიმართა საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელის, აკაკი ზოიძის, საჯარო ლექცია – „საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის გამოწვევები და რეფორმების ხედვა“

გვ2

სტუდენტური გვერდი:

გვ4

- EMSA – ერთი დიდი ოჯახი
- დედამიწის დღე
- საინტერესო ექსკურსია
- მეტი, ვიდრე მედიცინა
- Nearthed Tents



USMD – სიახლეები

კიდევ ერთი ნაბიჯი წარმატებისკენ

- USMLE-ის გამოცდების პირველი საფეხური წარმატებით გადალახეს
- ნათია ესიაშვილის და მარკუს კლასის ლექციები ამერიკული პროგრამის სტუდენტებისთვის
- ემორის უნივერსიტეტის სტუდენტის ვიზიტი

გვ3

გიგანტური ომფალოცელეს შემთხვევა

გვ5

თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში ჩატარდა ქირურგიული კორეგირება – ომფალოცელეს ალდგენითი ოპერაცია

მიმდინარე წლის 25 მაისს პროფესორ ტატიანა შატილოვას დაბადებიდან 105 წელი შეუსრულდებოდა. ამ თარიღთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, გამოჩენილი მეცნიერის, კლინიცისტისა და პედაგოგის, პროფესორ ტატიანა შატილოვას სახელობის სტიპენდიის დაარსების შესახებ.

გვ6

ევროპის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ინიციატივით, ევროპის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, მიმდინარე წლის 8 მაისს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვივნენ: პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ირინე ფრუიძე, შვედეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, მისი აღმატებულება მარტინა ქვიქი და ესტონეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, მისი აღმატებულება კაი კაარელსონი. შეხვედრა გახსნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ. ის მიესალმა სტუმრებსა და აუდიტორიას, რომელიც სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისგან შედგებოდა. ისაუბრა ევროპული ორიენტაციის მნიშვნელობაზე პროფესიული და ქვეყნის განვითარებისთვის.

პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ირინე ფრუიძემ, აუდიტორიას შეახსენა ევროპის დღის დაარსებასთან დაკავშირებული ისტორიული თარიღი: 1950 წლის 9 მაისს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რობერ შუმანი პარიზში გამოვიდა განცხადებით, სადაც მან წამოაყენა ევროპული ინტეგრაციის იდეა. ამიტომ 9 მაისი აღინიშნება, როგორც ევროპის კავშირის დაბადების დღე.

საზოგადოებას სიტყვით მიმართეს და ევროკავშირში ინტეგრაციის მნიშვნელობასა და პერსპექივებზე გაამახვილეს ყურადღება, ასევე, შვედეთის და ესტონეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩებმა საქართველოში, მისმა აღმატებულება მარტინა ქვიქიმ და კაი კაარელსონმა. სტუმრებმა ამომწურავი პასუხები გასცეს სტუდენტთა მრავალრიცხოვან შეკითხვებს. პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ მადლობა გადაუხადა სტუმრებს საინტერესო პრეზენტაციისთვის და საქართველოს მხარდამჭერი ქვეყნების ელჩებს ქართველების ღრმა პატივისცემა დაუდასტურა.

ქართველი ონკოლოგის ევროპული აღიარება

ახლახან ცნობილი ქართველი ონკოლოგის, თანამედროვე ქართული მედიცინის ერთ-ერთი ინოვატორის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ონკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, უნივერსალური სამედიცინო ცენტრის (ყოფილი პროფესორ ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ეროვნული ცენტრი) დირექტორის, კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოების და ჟურნალ – „კლინიკური ონკოლოგიის“ მთავარი რედაქტორის, პროფესორ რემა ღვამიჩავას, კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარების მოწმენი გავხდით.

„ევროპის ონკოლოგიის სკოლამ“ (European School of Oncology), როგორც ევროპის ლიდერმა ორგანიზაციამ თანამედროვე ონკოლოგიური განათლებისა და ინოვაციის სფეროში, ლექტორთა საბჭოში საქართველოდან, ბატონი რემა ღვამიჩავას სახით, პირველად მიიწვია პროფესორი, როგორც წამყვანი და მაღალი რეპუტაციის პროფესიონალი ლექტორი/ექსპერტი ონკოლოგიური ქირურგიისა და კიბოს პრევენციის სფეროში. საყურადღებოა, რომ ევროპის მასშტაბით მსგავს პროფესიონალთა რიცხვი მხოლოდ 1000-ს აღწევს და აერთიანებს ონკოლოგიის სფეროში დასაქმებულ წამყვან ექიმებს.

ეს ფაქტი, პიროვნულად, ბატონი რემას, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, უნივერსალური სამედიცინო ცენტრისა და, საზოგადოდ, საქართველოს დიდი აღიარებაა ევროპულ სამედიცინო სივრცეში!

ამ აღიარებას წინ უძღოდა „ევროპის ონკოლოგიის სკოლასთან“ ბატონი რემას თანამშრომლობის პერიოდი 2004 წლიდან, როდესაც საქართველოში ჩატარდა 15-ზე მეტი სასწავლო კურსი და მასტერკლასი ონკოლოგიის სხვადასხვა მიმართულებით; პროფესიული კვალიფიკაცია აიმაღლა 70-ზე მეტმა ქართველმა ექიმმა; საზღვარგარეთ სტიპენდია მოიპოვა ექვსმა ახალგაზრდა სპეციალისტმა. დაინერგა სკრინინგის ახალი, თანამედროვე მიმართულებები საქართველოში; საქართველო უკვე გახდა „ევროპის ონკოლოგიის სკოლის“ მიერ აღიარებული ქვეყანა, სადაც 2005 წლიდან, ორგანიზაციის ეგიდით, ყოველწლიურად იმართება რეგიონული კონფერენციები და მასტერკლასები.

„საქართველოს ჯანმრთელობის სისტემის გამოწვევები და რეფორმების ხედვა“

2017 წლის 11 მაისს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში გაიმართა საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელის, ბატონი აკაკი ზოიძის, საჯარო ლექცია – „საქართველოს ჯანმრთელობის სისტემის გამოწვევები და რეფორმების ხედვა”.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, კანცლერი, პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე, ვიცე-რექტორი, პროფესორი ხათუნა თოდაძე, დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის დირექტორი, ასოცირებული პროფესორი ზაზა ბოხუა, თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, ბატონი გიორგი აბესაძე, უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, მაგისტრანტები და დოქტორანტები.

ლექციაზე ბატონმა აკაკიმ შეაფასა საქართველოს ჯანდაცვის სისტემის არსებული მდგომარეობა, ისაუბრა მის წინაშე მდგარ გამოწვევებზე და გადაჭრის მექანიზმებზე, განიხილა ჯანდაცვის სისტემის მოდელები, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის ჯანდაცვის პოლიტიკის მოწყობის საფუძველს წარმოადგენს.

ბატონი აკაკის განცხადებით, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა, არსებობს გამოწვევები, რომლის აღმოსაფხვრელად სისტემის მესვეურნი აქტიურად მუშაობენ. მისივე თქმით, განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები და უფრო დიდი ნაწილი ჯერ კიდევ დახვეწის პროცესშია, მათ შორის: დაფინანსების ხარჯ-ეფექტურობის მიღწევის, მიწოდებული სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, კერძო დანახარჯების შემცირების და პირველადი ჯანდაცვის რგოლის გააქტიურების მიმართულებით.

ღონისძიება გამოირჩეოდა დამსწრე საზოგადოების მაღალი ინტერესითა და ჩართულობით, განხილულ საკითხებთან დაკავშირებით დაისვა შეკითხვები.

ისაღიელი სპიკერების ლექცია და მასტერ-კლასი თსსუ-ში



2017 წლის 11-12 მაისს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარდა სპიკერების: ჯანლუკა პლოტინოს და ნიკოლა გრანდეს ლექცია და მასტერ-კლასი. იტალიელი სპიკერები უკვე მეორედ ჩამოვიდნენ საქართველოში და ამჯერადაც, მათი ორდღიანი ლექცია-მასტერკლასის ორგანიზატორები იყვნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, New Line Dental-ი და სტომატოლოგიის კლინიკა და სასწავლო-კვლევითი ცენტრი – უნიდენტი.

11 მაისს იტალიელმა სპიკერებმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტების, რეზიდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის ჩაატარეს ლექცია-პრეზენტაციები; 12 მაისს კი – მასტერ-კლასი.

„საერთაშორისო სამედიცინო კონგრესზე SIMC 2017“

2017 წლის 27 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები: გიორგი ათათია (XII სემესტრი), ლევან ცაგურია (VI სემესტრი), ბესიკ ცინცაძე (VI სემესტრი) და ნიკა თარგალაძე (VI სემესტრი) მონაწილეობდნენ კატოვიცეს (პოლონეთი) სილესიის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საერთაშორისო სამედიცინო კონგრესში SIMC 2017“.

„საერთაშორისო სამედიცინო კონგრესზე SIMC 2017“ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებმა წარმოადგინეს კვლევა – „დეცელულარიზებული სისხლძარღვის გამოყენება ვირთაგვის მუცლის აორტის დეფექტების რეკონსტრუქციისთვის“ („Reconstruction of rat abdominal aorta defects using decellularized vascular scaffolds“), რომელმაც დიდი მოწონება და ინტერესი გამოიწვია საერთაშორისო ჟიურისა და უნივერსიტეტის სამეცნიერო საზოგადოების წევრებს შორის. წარმოდგენილ კვლევასთან დაკავშირებით გაიმართა პროფესიული დისკუსია და დაისვა შეკითხვები, რომლის დასრულების შემდეგაც კონგრესის ჟიურის ხელმძღვანელმა და სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდენტმა აღნიშნეს თემის აქტუალობა და მისი უპირატესობა სხვა სტუდენტურ მოხსენებებთან შედარებით.

პარიზის ვალ-დე-მარის უნივერსიტეტის წარმომადგენლები თსსუ-ში

2017 წლის 15 მაისს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვივნენ პარიზის ვალ-დე-მარის უნივერსიტეტის (საფრანგეთი) საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ოდილ სოლნიკი და ამავე უნივერსიტეტის „ერაზმუს+“-ის პროექტის კოორდინატორი – ანა მეგრელიშვილი. სტუმრებს შეხვდნენ თსსუ-ის „ერაზმუს+“ პროექტის კოორდინატორი ნინო კანდელაკი და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ქეთევან დევიძე. შეხვედრას ესწრებოდა თსსუ-ის რეზიდენტი, „ერაზმუს მუნდუსის“ პროგრამა „ალრაკის 2“-ის კონკურსის გამარჯვებული, მარიამ რუსიძე, რომელიც დიპლომამდელი პროგრამის მობილობის ფარგლებში ექვსი თვით იმყოფებოდა პარიზის ვალ-დე-მარის უნივერსიტეტში.

შეხვედრაზე განიხილეს ერთობლივი მობილობის პროექტის განხორციელების დეტალები და ევროკავშირის პროექტების ფარგლებში სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები.

მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტების წარმატება „საერთაშორისო სამედიცინო კონგრესზე SIMC 2017“

სტუმრად თსსუ-ში

2017 წლის 11 მაისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვივნენ სარეაბილიტაციო ცენტრის, „ევრომედის“ დირექტორი რიშარდ კოვალჩიკი (პოლონეთი), სარეაბილიტაციო ცენტრის „ევრომედის“ კოორდინატორი საქართველოში ვალერიან გერსამია და ორთოპედ-ტრავმატოლოგი ნიკა ხუნჯგურუა. სტუმრებს შეხვდნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი რიმა ბერიაშვილი, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ლელა მასხულია, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი – გიგა სორდია.

სტუმრები გაეცნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტრუქტურას, წარადგინეს პოლონეთში არსებული სარეაბილიტაციო ცენტრი „ევრომედი“. მათ ურთიერთთანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან. დაისახა სამომავლო გეგმები.

საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია

17 მაისს „ცისფერმა დარბაზმა“ თსსუ-ის სამედიცინო ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ სტუდენტურ კონფერენციას უმასპინძლა. კონფერენციის ორგანიზატორის, მედიცინის დოქტორის, პროფესორ, ეკა მჭედლიშვილის, მიერ ქართული, რუსული და ინგლისურენოვანი სექტორის სტუდენტებს შორის შეირჩა საინტერესო ავტორები. კონფერენციის ორგანიზებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ნინო ხვიტიამ, დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა, დავით ცხომელიძემ, ასისტენტ-პროფესორმა, ნატალია ჭილაძემ, მედიცინის დოქტორმა, მანანა ფრუიძემ და ბიოლოგიის დოქტორმა, ნაზიბროლა მამალაძემ, ასევე, სტუდენტთა საორგანიზაციო კომისიის წევრებმა: მიხეილ კაპანაძემ, ჯავალ კასუმოვმა, ამირი მოჰამედმა, ანა იორამაშვილმა, სოლომონ ერგემლიძემ, ანა მურცხვალაძემ და ფატიმა შამანმა, რომელთა ინიციატივით გამართული სტუდენტური კონფერენცია სადღეისოდ უმნიშვნელოვანესი თემების განხილვას მიეძღვნა.

დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ ნინო ხვიტიას, რეკომენდაციით, ჟიურის თავმჯდომარედ დაინიშნა მედიცინის დოქტორი, პროფესორი მანანა ჭიპაშვილი. კონფერენციაზე სტუდენტებმა წარმოადგინეს საინტერესო მოხსენებები სამედიცინო ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის აქტუალურ თემებზე, ინტენსიურად ჩაერთნენ კამათში და გამოავლინეს საგნის ღრმა ცოდნა. განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა მოხსენებებმა, რომლებიც ეხებოდა პარაზიტული დაავადებების დიაგნოსტიკისა და არამედიკამენტოზური მკურნალობის უახლეს მეთოდებს. აღსანიშნავია თსსუ-ის მედიცინის უცხოენოვანი ფაკულტეტის სტუდენტების (ისრაელი) მოხსენება თემაზე – „პარაზიტოლოგიური დაავადებები და კინეზიოლოგია“.

საინტერესო მოხსენების ავტორები დაჯილდოვდნენ ჟიურის მიერ.

კონფერენციის ორგანიზებაში მნიშვნელოვანი თანადგომა გამოიჩინეს სტუდენტურმა თვითმმართველობამ და თსსუ-ის მედიცინის უცხოენოვანი ფაკულტეტის სტუდენტმა, ევგენი რაბინოვიჩმა, რომელმაც შექმნა კონფერენციის ფოტოალბომი.

საინფორმაციო შეხვედრა ფულბრაიტის სამაგისტრო სასტიპენდიო პროგრამასთან დაკავშირებით

2017 წლის 15 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების ფულბრაიტის სამაგისტრო სასტიპენდიო პროგრამასთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრა გამართეს განათლების საერთაშორისო ცენტრის კოორდინატორმა ნინო რუხაძემ და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს განათლებისა და პროფესიული პროგრამების კოორდინატორმა გიორგი გაბუნიამ.

შეხვედრას ესწრებოდნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი მჭედლიშვილი, დეკანის მოადგილე ასოცირებული პროფესორი მარინა ციმაკურიძე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი დავით გელოვანი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტები და მაგისტრანტები.

ფულბრაიტის სტიპენდია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული სტიპენდიაა. ფულბრაიტის სამაგისტრო სასტიპენდიო პროგრამის კანდიდატთა შერჩევას აწარმოებს საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო, სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრი და საქართველოს ბანკი.

სასტიპენდიო პროგრამა (2018-19 Fulbright Graduate Student Program) ითვალისწინებს ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის სრულ დაფინანსებას ყველა დისციპლინაში, მათ შორის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით.

განაცხადების მიღება შეწყდება 2017 წლის 31 ივლისს, 18:00 საათზე.

პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ბმულებზე:

http://iec.gov.ge/4296

http://iec.gov.ge/en/4297

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების წარმატება აშშ სამედიცინო სალიცენზიო გამოცდების პირველ ეტაპზე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (თსსუ) დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის პირველი მიღების სტუდენტებმა ამერიკის შეერთებული შტატების სამედიცინო სალიცენზიო გამოცდების (USMLE) პირველი ეტაპი წარმატებით ჩააბარეს.

პროგრამის მეოთხე კურსის სტუდენტებმა – ნოდარ მაისურაძემ, თამარ თამარაშვილმა და ნიკოლოზ ბოსტაშვილმა – USMLE -ის პირველ გამოცდაზე მაღალი ქულები მოიპოვეს. წარმატებული შედეგი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აღნიშნულ სტუდენტებს, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დასრულების შემდეგ, არჩეული სპეციალობით აშშ–ში რეზიდენტურაში სწავლის გაგრძელებაში დაეხმარება.

ზურაბ ვადაჭკორია (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი): „ჩვენ ვამაყობთ ჩვენი სტუდენტებით და მათი წარმატებით. მათ შეძლეს და ამერიკის სამედიცინო სალიცენზიო გამოცდის პირველი ეტაპი (USMLE Step 1) ჩააბარეს რეკორდულად მცირე დროში. მათ, ასევე, დაამსხვრიეს სტერეოტიპი, რომ შეუძლებელია დამატებითი მომზადების გარეშე, მხოლოდ საუნივერსიტეტო განათლებით ამ გამოცდების ჩაბარება. ვულოცავ საქართველოს სამედიცინო საგანმანათლებლო სისტემას ამ მიღწევას.

ჩვენ გვეამაყება, რომ თსსუ–ში სამედიცინო კადრი მზადდება ემორის (აშშ) სამედიცინო სკოლის მოთხოვნილებათა და საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის გლობალური სტანდარტების შესაბამისად. პროგრამის ნარმატებით განხორციელების საფუძველია ემორის (აშშ) სამედიცინო სკოლის ადმინისტრაციისა და პროფესურის აქტიური მონაწილეობა და მუდმივი თანადგომა, თსსუ-ის პერსონალისა და ემორის სპეციალისტთა გაცვლითი პროგრამები, თსსუ-ის მაღალპროფესიული აკადემიური პერსონალი, რომელთაც უცხოელ სტუდენტთათვის ინგლისურ ენაზე მედიცინის სწავლების 20 წელზე მეტი გამოცდილება აქვთ“.

კენეტ ვოლკერი (ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის პროფესორი, საქართველოსა და თბილისის საპატიო მოქალაქე):

„ჩვენმა სტუდენტებმა USMLE -ის პირველი გამოცდის ჩაბარებით და მაჩვენებლით დაამტკიცეს, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა შესანიშნავად ამზადებს სტუდენტებს ამერიკის შეერთებული შტატების სამედიცინო სალიცენზიო გამოცდის წარმოუდგენელი შედეგების მისაღწევად“.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სასწავლო გეგმა შემუშავებულია და ხორციელდება 2012 წლიდან თსსუ-ისა და ემორის უნივერსიტეტის (აშშ, ატლანტა) სამედიცინო სკოლის ერთობლივი პროექტის საფუძველზე. პროგრამა უზრუნველყოფს თანამედროვე დასავლური სტანდარტის სამედიცინო განათლების მინოდებას. პროგრამის მიზანია, აღზარდოს საერთაშორისო მასშტაბით კონკურენტუნარიანი და კომპეტენტური ექიმი, რომელიც მზად არის დიპლომისშემდგომი განათლების მისაღებად როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ. სასწავლო გეგმა სტუდენტს სწავლების ადრეულ ეტაპზე უვითარებს კლინიკურ და სამეცნიერო მუშაობის უნარ-ჩვევებს. აშშ სამედიცინო სალიცენზიო გამოცდებისთვის (USMLE) მომზადება პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა დაფუძნებულია სწორედ USMLE-ის გამოცდების განათლების სისტემაზე, რაც გულისხმობს პროგრამის სტუდენტების მაღალ დონეზე მომზადებას“.

რიმა ბერიაშვილი (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი):

„აშშ სამედიცინო სალიცენზიო გამოცდებისთვის სტუდენტის მომზადება ერთ-ერთი საშუალებაა, რომელსაც დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა იძლევა. სანამ პირველი შედეგი არ გამოჩნდება, შესაძლოა, ვერც გაიგო, საით წავიდა მთელი ის ძალისხმევა, რაც პროგრამის შემუშავებაზე და განხორციელებაზე დაიხარჯა: აკადემიური პერსონალის გაცვლა, ზაფხულის პრაქტიკა, ბევრი ახალი მეთოდის დანერგვა, ჰუმანიტარული საგნების სწავლება, რომელმაც თავიდანვე გამოიწვია კითხვები, რატომ სჭირდებოდათ მომავალ ექიმებს ანთროპოლოგია ან მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია ... კარგია, რომ ჩვენ არ შევეპუეთ და ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის მოთხოვნები ბოლომდე დავიცავით...

ამ ძალისხმევის ინდიკატორია სწორედ ის, რომ თსსუ–ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის პირველმა სტუდენტებმა მაღალი ქულები მოიპოვეს. ჩვენი სტუდენტების წარმატებული შედეგი მეტყველებს იმაზე, რომ სწორი კურსით მივდივართ, რომ პროგრამა შესრულებადი და დაძლევადია. ასეთი შედეგებით, ვფიქრობ, კონკურენციას უკვე ევროპის უნივერსიტეტებსაც გავუწევთ“.

თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე ამჟამად პირველი მიღების 18 წარჩინებული სტუდენტი განაგრძობს სწავლას. მათგან ხუთმა აშშ სალიცენზიო გამოცდების პირველი საფეხურის ჩაბარება სწავლის ადრეულ ეტაპზე, მეოთხე კურსის პირველ სემესტრში გადაწყვიტა. აშშ სამედიცინო სალიცენზიო გამოცდის პირველ საფეხურზე აპლიკანტი მხოლოდ ერთხელ დაიშვება, რაც ნიშნავს იმას, რომ ჩაბარების შემთხვევაში, სტუდენტს მიღებული რეიტინგის და ქულის გაუმჯობესების მეორე შანსი აღარ ეძლევა.

ამერიკის შეერთებული შტატების სალიცენზიო გამოცდის პირველი საფეხურის ქულას რეზიდენტურაში მოსახვედრად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სამედიცინო გამომცდელთა ეროვნული საბჭო (National Board of Medical Examiners-ი) გამოცდის საშუალო ქულას რამდენიმე წელინადში ერთხელ ადგენს. წელს ეს ქულა 229-ით იყო განსაზღვრული, სტანდარტული დევიაცია კი – 20-ით. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება მინიმუმ, 192 ქულის მიღების შემთხვევაში. თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტებმა ძალიან კარგი შედეგები მიიღეს. მაგალითად, ერთ-ერთი სტუდენტის, ნოდარ მაისურაძის, საგამოცდო ქულა, რომელიც 261-ით შეფასდა, მსოფლიო მასშტაბით გამოცდაზე გასულთა 94.5%-ზე უკეთესი შედეგია.

არჩილ უნდილაშვილი (ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი, თსსუ დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ხელმძღვანელი):

„ჩვენ ძალიან გვიხარია, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა წარმატებით მიმდინარეობს. ჩვენი სტუდენტების აშშ სამედიცინო სალიცენზიო გამოცდის პირველი საფეხურის შედეგები თსსუ-ის წარმატებაა საერთაშორისო ასპარეზზე. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლა ამაყობს მიღწეული შედეგით და დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულიპროგრამაში ნერგავს საქართველოსთვის ინოვაციური კლინიკური სწავლების, „კლერკშიფის“, ამერიკულ მოდელს...

ეკა ეკალაძე (თსსუ დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, პროფესორი):

„დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა უკვე მეოთხე წელია, წარმატებით ხორციელდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში. ინტეგრირებული პროგრამა, რომელიც შემუშავებულია ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორების მიერ, იძლევა შანსს არა მხოლოდ მსოფლიო სამედიცინო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სამედიცინო კადრის მომზადებისა, არამედ უზრუნველყოფს სტუდენტის აღჭურვას ყველა იმ უნარ-ჩვევით, რაც აშშ სალიცენზიო გამოცდების ჩასაბარებლადაა საჭირო. სწორედ ემორის სამედიცინო სკოლისა და თსსუ-ის ნაყოფიერი შრომის შედეგია ჩვენი პროგრამის მეოთხეკურსელების ბოლოდროინდელი მიღწევა, რითაც ძალიან ვამაყობთ. ვულოცავთ ჩვენს სტუდენტებს ამ დიდ წარმატებას და გვჯერა, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია!“

ნოდარ მაისურაძე (დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის IV კურსის სტუდენტი):

„ჩემს წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამას და USMLE კოორდინატორებს, რომლებიც ორნახევარი წლის განმავლობაში მეხმარებოდნენ და მაძლევდნენ უამრავ რჩევას. ბევრი თვლის, რომ USMLE-ის პირველი საფეხური აშშ რეზიდენტურის აპლიკაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. ამ გამოცდის დროულად და მაღალ ქულაზე ჩაბარება ამერიკულ რეზიდენტურაში მოხვედრის ერთ-ერთი წინაპირობაა. დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა ითვალისწინებს გამოცდის პირველ საფეხურზე გასვლას მეშვიდე სემესტრის შემდეგ. პროგრამა მაქსიმალურად უწყობს სტუდენტს ხელს გამოცდის დროულად და წარმატებით ჩაბარებაში. პროგრამაზე ფუნქციონირებს ე.წ. USMLE – კლასი, რომელსაც ის პედაგოგები ატარებენ, ვისაც თავად აქვთ აშშ სალიცენზიო გამოცდები წარმატებით ჩაბარებული. ისინი ინდივიდუალურად ეხმარებიან ყველა სტუდენტს, ვისაც გადაწყვეტილი აქვს დიპლომისშემდგომი განათლების ამერიკაში გაგრძელება.“

ნიკოლოზ ბოსტაშვილი (დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის IV კურსის სტუდენტი):

„როგორ ჩავაბარე USMLE-ი გამოცდის პირველი საფეხური წარმატებით? – პირველი, რაც გავიაზრე, რატომ ვაკეთებდი ამას. დავრწმუნდი, რომ მზად ვიყავი, ამასთან, ყოველდღიური ცხოვრებიდან ბევრი რამ დავთმე.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია, გადაწყვიტო, როგორ აპირებ გამოცდისთვის მომზადებას. სწორედ აქ ერთვება თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა მთელი თავისი შემადგენლობით და პედაგოგებით, რომელთაც წარმატებით აქვთ ჩაბარებული აშშ რეზიდენტურის გამოცდების ყველა ეტაპი. შენ აგროვებ მათგან რაც შეიძლება მეტ ინფორმაციას, სასწავლო მასალას და ადგენ საკუთარ გეგმას. მესამე და ყველაზე რთული ეტაპია, სისტემატური სწავლის პროცესი. ლექციები და სემინარები მნიშვნელოვნად გეხმარება ცოდნის მიღებაში, მაგრამ გულმოდგინედ მეცადინეობა სახლშიცაა საჭირო. ეს ის საფეხურია, როდესაც იწყებ იმის შეყვარებას, რასაც აკეთებ, სხვანაირად ძნელია თავი აიძულო.

დაბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანია მიღებული ცოდნის სწორად გამოყენება“.

თამარ თამარაშვილი (დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის IV კურსის სტუდენტი):

„ჩავაბარე სალიცენზიო გამოცდა USMLE-ის პირველი საფეხური, რომელიც საშუალებას მომცემს მომავალში რეზიდენტურა გავიარო ამერიკის შეერთებულ შტატებში.

უამრავი წიგნია, რომლის დახმარებითაც შეგიძლია მოემზადო გამოცდისთვის, ყურადღება გაამახვილო ისეთ ფაქტებზე, რომლებიც არაა მნიშვნელოვანი, დაკარგო უამრავი დრო მასალის შერჩევაზე, ამიტომ, პირველ რიგში, ყველაზე მნიშვნელოვანია, სასწავლო ლიტერატურა სწორად შეარჩიო. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამას ძალიან დიდი როლი მიუძღვის ჩემს წარმატებაში. კერძოდ, თავისუფლად ხელმისაწვდომი იყო ყველა საჭირო მასალა.

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ლექციებზე ყურადღება გამახვილებულია მნიშვნელოვან საკითხებზე, რაც გამოცდის ჩაბარებას გიადვილებს. სწავლების პროცესში ჩართულნი არიან თსსუ-ის ისეთი კურსდამთავრებულები, რომლებსაც თავად აქვთ გავლილი აშშ სალიცენზიო გამოცდების ყველა საფეხური. მათი გამოცდილების გაზიარება და მათგან რჩევების მიღება ძალიან დამეხმარა.

რა თქმა უნდა, გზა სალიცენზიო გამოცდის წარმატებით ჩაბარებისკენ არ არის ადვილი. წინ USMLE -ის მეორე გამოცდა მელის. პირველ გამოცდაზე მიღებული შედეგი მაფიქრებინებს, რომ ნამდვილად ღირს დასახული მიზნებისთვის ბოლომდე ბრძოლა“.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის IV კურსის სტუდენტი ნინი ზარდიაშვილმა

ლექციები ამერიკული პროგრამის სტუდენტებისთვის

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ემორის უნივერსიტეტის პროფესორები: ნათია ესიაშვილი და მარკუს კლასი ეწვივნენ. თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტებისთვის ლექციის ფორმატი და თემა ემორისა და თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის აკადემიური პერსონალის წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე შეირჩა.

ნათია ესიაშვილი (MD, ემორის მედიცინის სკოლის რადიაციული ონკოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი და ხარისხის უფროსი ოფიცერი): თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ამერიკული პროგრამის სტუდენტებმა ჩვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინეს. ისინი ძალიან აქტიურები არიან და როგორც ჩანს, დიდი ენთუზიაზმით სწავლობენ. ძალიან მიხარია, რომ სტუდენტები საკმაოდ კარგად ახდენენ საბაზისო მეცნიერებების ინტეგრაციას კლინიკურ საკითხებში.

ნათია ესიაშვილი თსსუ-ის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. დღეს იგი ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის წევრია, აღსანიშნავია, რომ 2015 წელს რადიაციული ონკოლოგიის დეპარტამენტის ხარისხის მთავარ ოფიცრად დასახელდა.

მარკუს კლასი (MD, PhD, ემორის მედიცინის სკოლის ანესთეზიოლოგიის ასისტენტ-პროფესორი): „ვფიქრობ, რომ სტუდენტებმა უფრო ღრმად გაიგეს ანესთეზიოლოგიისა და ონკოლოგიის თანამედროვე მიდგომების შესახებ; ეს ლექცია დაეხმარება მათ არჩევანის გაკეთებაში. ჩვენ დაინტერესებული ვართ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის გაგრძელებით როგორც თბილისში, ისე ატლანტაში“.

ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის სტუდენტის ვიზიტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამას ატლანტიდან ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის მეოთხე კურსის სტუდენტი ნიჰარიკა მალეპალი ეწვია.

ვიზიტი განხორციელდა თსსუ-სა და ემორის უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც საშუალებას აძლევს ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის სტუდენტს კლინიკური როტაცია გაიაროს არა მხოლოდ ემორის უნივერსიტეტში, არამედ მის პარტნიორ უნივერსიტეტებში. ემორის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ, ამ შემთხვევაში, თსსუ და დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა შეარჩია.

სტუდენტი საქართველოში 2 კვირით იმყოფებოდა. ამ ხნის განმავლობაში რიკა მალეპალი მონაწილეობდა დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სასწავლო პროცესში: პირველ საუნივერსიტეტო კლინიკასა და მაღალი ტექნოლოგიების სამედიცინო ცენტრში თსსუ-ის სტუდენტებთან ერთად დაესწრო და მონაწილეობა მიიღო კლინიკურ სწავლებაში.

გვერდი მოამზადა თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა, ნინი ზარდიაშვილმა

EMSA – ერთი დიდი ოჯახი

EMSA (European Medical Student's Asssociation) ყველაზე დიდი, სამედიცინო პროფილის ორგანიზაციაა ევროპაში, რომელიც 100-მდე ქვეყანას აერთიანებს. მათ შორის არის საქართველოც და ჩვენი ლოკალური ორგანიზაციაა EMSA (თბილისი), რომელიც 1992 წელს შეიქმნა და დღეს უკვე ასოციაციის სრულუფლებიანი წევრია. ადგილობრივი ორგანიზაცია, თავიდანვე დიდი პასუხისმგებლობით მუშაობდა, EMSA (თბილისი)-ს წევრები ორჯერ იყვნენ ძირითადი „ბორდის" შემადგენლობაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი ვარ და ამ ორგანიზაციის წევრი ერთი წლის წინ გავხდი. ამჟამად, ვხელმძღვანელობ EMSA-ს განათლების დეპარტამენტს, გარდა განათლებისა, ორგანიზაციაში გვაქვს ისეთი მიმართულებები, როგორიცაა: „მეცნიერება", „საზოგადოებრივი ჯანდაცვა" და ა.შ.

ბოლო პერიოდში აქტიურად განიხილება ახალი მიმართულების – „რეპროდუქციული ჯანმრთელობის" ჩამოყალიბება.

EMSA- ს მიზანია:

1) ხელი შეუწყოს, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების ურთიერთობასა და სწრაფ ინტეგრაციას. გააცნოს და დაახლოოს ისინი ერთმანეთს.

2) დაგეგმოს საგანმანათლებლო კონფერენციები, ტრენინგები და ე.წ.ვორქშოფები, რომლებიც გვეხმარება ცოდნის გაღრმავებაში.

3) ჩაერთოს ადგილობრივ აქტივობებში, რომლებიც გვასწავლის, როგორ დავგეგმოთ პროექტი და ვიფიქროთ უფრო კრეატიულად.

5) ხელი შეუწყოს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.

6) მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო აქტივობებში. მაგ: „მენტალური ჯანმრთელობის კვირა", „შიდსის დღე" და ა.შ.

ამასთანავე, EMSA ატარებს გაზაფხულისა და შემოდგომის სესიებს.

„შემოდგომის სესია – 2016"-ს უმასპინძლა თბილისმა, ხოლო „გაზაფხულის სესია – 2017"-ს – სლოვენიამ, საიდანაც დიდი გამოცდილებითა და დაუვიწყარი ემოციებით დავბრუნდი. ნამდვილად ღირს, შეხვდეთ მათსავით მოტივირებულ ადამიანებს, მოისმინოთ მათი დამოკიდებულება სხვადასხვა საკითხზე, გამოთქვათ თქვენი მოსაზრება და გააცნოთ თქვენი ქვეყანა მათ. ნამდვილად ღირს, რომ დამღლელი სამუშაო დღის შემდეგ ერთად მოიწყოთ განტვირთვისა და მხიარულების საღამოები.

დაბოლოს, EMSA მხოლოდ ორგანიზაცია არ არის, იგი ერთი დიდი ოჯახია, ოჯახი, სადაც ვსწავლობთ ერთად და ერთმანეთის გამოცდილებით, ოჯახი, რომელიც მაშინაც ოჯახად დარჩება, როცა სტუდენტები აღარ ვიქნებით.

მარიამ თევზაძე,
მედიცინის ფაკულტეტის
მე-2 სემესტრის სტუდენტი

Unearthed Tents

Yet again a semester is coming to a close and it also means our seniors are leaving us. This is for them whose life and education in TSMU is soon going to take the backstage in this staged play called life, behind the curtains drawn by time.

Close your eyes. Okay, maybe not. But try to picture your student card and your photo on it. That "fresh out of school, ready to taste the freedom" innocence hidden within the passport sized frame, some of you in mom-picked outfits, some in school uniforms, some in long braids or bowl cuts, some in timid smirks with promising strands of freshly grown moustaches and some looking good with their applauding photogenic faces, while others in.. (Well let's just skip those details)

It's true that each one of you have your own stories with the cards. Some cards renewed, some used to sitting at the library lounge for long hours in exchange for the books you had borrowed and some non existing ones.

Just like how your books grew bigger and bigger each year till it reached the size of a couch cushion, your love for this city of lights each of you have managed to survive in sure gives the blissful feeling of warmth and coziness like those cushions made with the finest feathers. Like the number of times yo ur passport pages got stamped in green or red each year, your canvas of well manicured character too is now drenched with the vibrant and vivid colors of friendship, love and this academically established respect to human life.

"There are 33 or 34 vertebrae that make up the vertebral column and they are divided into five regions" might have been your first class credit and though the last one needn't be reminded of, take time to cherish that the rest of the class hours in-between during the past 6 years share equal and inevitable episodes of hardships, so me "best day of my life" moments, those uphill demanding team work and much more.. all clusters in yo ur phone gallery or pages of a worn out diary.

The very many firsts these six years have given, bucket list bulletins being joyfully scratched out or added, missing new year and every other festival at home on one side while the thrill and festivity of inviting and making a new family each time there was or wasn't a reason to celebrate on the other well lit si de.

Bidding goodbye is never an easy thing to do. Who knew time would fly this fast and reveal that it's time to unearth the tents which you made a home in six years ago. But as you go, I hope you know that this endeavor of learning you are going to be honored with very soon is a never ending one. You know that this web of knowledge acquired not just from Grey's or Harrison's but from everything animate or inanimate in this world ought to be a constantly growing one just with the change of the ba se the tents are set up on.

Sharon christabel
Group 5, 4th year II sem

დედამიწის დღე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აქტიურად ჩაერთო დედამიწის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების კვირეულში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ორგანიზებითა და სტუდენტური თვითმმართველობის მონაწილეობით, 26 აპრილს ჩატარდა უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებისა და გამწვანების ღონისძიება.

ერთ ოჯახად გაერთიანებული სტუდენტები და თანამშრომლები გულისხმიერად და დაუღალავად შრომობდნენ იმ გარემოს სიჯანსაღისთვის, რომელშიც დროის უმეტეს ნაწილს ატარებენ. უნივერსიტეტზე ზრუნვა დიდსა თუ პატარას ხასიათში აქვს გამჯდარი, ამიტომ ამ ღონისძიებას არც უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, კანცლერი, პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე და ადმინისტრაციის წარმომადგენლები გამოჰკლებიან, რისთვისაც სტუდენტური თვითმმართველობა დიდ მადლობას უხდის მათ.

გარდა საკუთარი ტერიტორიისა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებმა 2017 წლის 22 აპრილს, გარემოს დაცვის სამინისტროსა და თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, დაასუფთავეს „მზიურის" მიმდებარე ტერიტორია. სუფთა გარემო კი ჯანსაღი ცხოვრების საწინდარია.

გულიკო მურაჩაშვილი,
ფარმაციის ფაკულტეტის მე-2
სემესტრის სტუდენტი

საინტერესო ექსკურსია

გაზაფხულის მოსვლას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში განსაკუთრებით ელიან, მართლაც რა შეიძლება იყოს იმაზე უკეთესი, ვიდრე დატვირთული კვირის ბოლოს მეგობრებთან ერთად ქალაქგარეთ გასვლაა. თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით მოწყობილი ღონისძიებები აპრილში დაიწყო. ექსკურსიები შაბათ-კვირას იმართებოდა. ხალისიანი და საინტერესო დღეები ღირსშესანიშნაობების მონახულებას, აქტიურ გართობას და დასვენებას მოიცავდა. დღის არცერთი მონაკვეთი მოსაწყენი არ ყოფილა. პირველი ექსკურსია თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის მეორე სემესტრის სტუდენტებისთვის მოეწყო. ვეწვიეთ კახეთს, ალავერდის და ბოდბის მონასტრებს, მოვინახულეთ „სიყვარულის ქალაქი" – სიღნაღი, აღფრთოვანებული და საუცხოო ამინდით შეგულიანებული სტუდენტების სახეებს მთელი დღე ღიმილი არ მოშორებია.

სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები ხელოვნების სიყვარულითაც გამოირჩევიან. მხიარული განწყობა სუფევდა მგზავრობისას, შთაბეჭდილებებით დატვირთული დღის შემდეგ ერთად შევიკრიბეთ. სიმღერას ცეკვა შეემატა და შებინდებამდე ისმოდა ახალგაზრდების სიცილი და ყიჟინა. სტუდენტებმა ათასგვარი თამაშობითაც გაიფერადეს დღე, თითოეული მათგანი ერთი დიდი ოჯახის წევრია, რომელსაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ჰქვია.

მარიამ ბერიკაშვილი,
მედიცინის ფაკულტეტის მე-6
სემესტრის სტუდენტი

მეტი, ვიდრე მედიცინა

გაიმართა მასშტაბური და ინოვაციური პროექტის – „მეტი, ვიდრე მედიცინა" სპორტული მიმდინარეობების პრეზენტაცია და კენჭისყრა, რომელიც მიზნად ისახავს ერთ სივრცეში გართობას, შემეცნებას, სტუდენტების დაკვალიანებას, საუნივერსიტეტო ცხოვრებაში აქტიურ ჩართულობას, აქტივობებით დატვირთულ და მრავალფეროვან სტუდენტურ ცხოვრებას, სპორტული და კულტურული ღონისძიებების გატარებას, ფაკულტეტებს შორის ეფექტურ თანამშრომლობას.

პროექტი განხორციელდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობისა და სპორტისა და ხელოვნების ცენტრის მხარდაჭერით და შესაბამის ფედერაციასთან თანამშრომლობით. მონაწილეობის მიღება შეეძლო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ნებისმიერი კურსის და ფაკულტეტისა სტუდენტს. პროექტს ხელმძღვანელობდა გიორგი საღინაძე.

სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ განვითარებულიყვნენ მათთვის სასურველი სპორტული მიმართულებებით და გამოევლინათ თავიანთი უნარ-ჩვევები. ჩატარდა შიდა საუნივერსიტეტო ჩემპიონატები, ჩამოყალიბდა გუნდები და სექციები.

ღონისძიებები ჩატარდა სპორტულ, კულტურულ და შემეცნებით მიმართულებებში. გამოვლინდა: წლის გრანპრის მფლობელი ფაკულტეტი, ყველაზე ორგანიზებული ფაკულტეტი, საუკეთესო გულშემატკივარი, ყველაზე აქტიური სტუდენტი, პროექტის აღმოჩენა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი გამოირჩევა მსგავსი შინაარსის ღონისძიებების სიმრავლით, ეს პროექტები ხელს უწყობს სტუდენტებში აქტიური ცხოვრების წესის პროპაგანდას.

თათია კაკულია,
სტომატოლოგიის ფაკულტეტის
მე-2 სემესტრის სტუდენტი

გვერდი მოამზადა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის VI სემესტრის სტუდენტმა, სტუდენტური თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა, ნინო ზივზივაძემ

გიგანტური ომფალოცელეს შემთხვევა

ა. კუტუბიძე, თ.ბახტაძე, ნ. შალამბერიძე,
თსსუ-ის გ.ჟვანიას სახ. პედიატრიის აკადემიური კლინიკა
ბავშვთა ქირურგიის მიმართულება

ომფალოცელე წარმოადგენს აბდომინალური კედლის დეფექტს, რომელიც დაფარულია ამნიონური მემბრანით, პერიოტონეუმით და მათ შორის Wharton's jelly. ომფალოცელე და გასტროშიზის სიხშირე არის 3:10 000 მშობიარობაზე. ხშირია თანმხლები ქრომოსომული პათოლოგიები, 50% შემთხვევებში თან ახლავს თანდაყოლილი გულის მანკი, ასევე ხშირია ნერვული მილის, შარდსასქესო და სხვა სისტემების მხრივ თანდაყოლილი ანომალიები, რაც ამძიმებს პროგნოზს. ომფალოცელე არსებობს 2 ტიპის: ღვიძლის შემცველი და ნაწლავის მარყუჟების შემცველი. „გიგანტური" ომფალოცელე არის დეფექტი, რომლის ზომა > 4სმ და მის დიდ ნაწილს, 75%, შეადგენს ღვიძლი. ღვიძლის მდებარეობას, განლაგებას აქვს დიდი მნიშვნელობა შემდგომი პროგნოზისთვის. დიაგნოსტირება შესაძლებელია გესტაციის 9-10 კვირაზე. დაავადების გამოსავალზე უდიდეს გავლენას ახდენს დროული დიაგნოსტირება და დაუყოვნებელი ქირურგიული ჩარევა. „გიგანტური" ომფალოცელეს მქონე პაციენტებს ხშირად ესაჭიროებათ მრავალჯერადი რეკონსტრუქციული ოპერაციები.

პაციენტი ა.ი; დაბადებული 05.11.16 შემოვიდა თსსუ-ის გ.ჟვანიას სახ პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში 05.11.16 (0 დღის ასაკში). ახალშობილი მიღებულია I ფიზიოლოგიური ორსულობიდან და სპონტანური მშობიარობიდან. გესტაცია 40კვ; მასა 2600გ. მდგომარეობა იყო მძიმე, სიმძიმეს განაპირობებდა რესპირატორული დისტრესი, ჟანგბადდამოკიდებულება, ჰემოდინამიკური მაჩვენებლების დარღვევა; ახალშობილს აღენიშნებოდა დიდი ზომის ჭიპლარის თიაქარი. პაციენტს ჩაუტარდა სრულყოფილი კლინიკური, ინსტრუმენტული კვლევები. მუცლის ღრუს ულტრაბგერითი კვლევა – მუცლის წინა კედლის დეფექტის მიდამოს



დათვალიერება ტრანსდიუსერის სტერილური გარსაცმის და სტერილური საინექციო წყლის გამოყენებით. დეფექტურ მიდამოს ავსებს ღვიძლი, თავის მხრივ, ღვიძლი მოჩანს ნორმალური ექოგენობითა და ერთგვაროვანი სტრუქტურით, ღვიძლშიდა სისხლძარღვები მოჩანს მკაფიო გლუვი, მკაფიო კედლებით, ფერადი დოპლეროგრაფიით მათში სისხლის ნაკადი ნორმალურია, კარის ვენის სანათურის დიამეტრიც 4.8 მმ. მუცლის ღრუში მოჩანს მცირე რაოდენობით თავისუფალი სითხე. გულ-მკერდის და მუცლის ღრუს მიმოხილვითი **Ro**-გრაფია – ნაწლავთა მარყუჟები მკვეთრად გადაბერილია და დისლოცირებულია მუცლის ღრუს მარჯვენა ნახევარში, მუცლის ღრუს პროექციაზე მთლიანად ვიზუალირდება ინტენსიური ჰომოგენური ჩრდილი მკაფიო კონტურებით. კარდიოექოსკოპია; წინაგულთაშორის ძგიდის დეფექტი, ღია არტერიული სადინარი, პარკუჭთაშორის ძგიდის კუნთოვანი ნაწილის დეფექტი.

07.11 ჩატარდა ქირურგიული კორეგირება – ომფალოცელეს აღდგენითი ოპერაცია. ოპერაციის დროს გამოვლინდა პათოლოგიური ცვლილებები: ამნიონის გარსზე მიხორცებული ღვიძლის წინა კედელი (ღვიძლი მთლიანად ამოსულია კანის ზემოთ) და წვრილი ნაწლავის მარყუჟები. მოხერხდა ამნიონის გარსის აცილება ღვიძლიდან, ნაწლავებიდან, მუცლის წინა კედლის დიდი დეფექტის გამო მოხდა ხელოვნური თიაქრის აპკის შექმნა პოლიეთილენის პარკით („ბოგოტას" წესით). 29.11 ჩატარდა გეგმიური ოპერაცია მუცლის წინა კედლის პლასტიკა. პაციენტს უტარდებოდა აქტიური ანტიბაქტერიული, ინფუზიური თერაპია. მიმდინარეობდა მჟავა-ტუტოვანი წონასწორობის კონტროლი და კორეგირება. 26.12 გაეწერა გაუმჯობესებულ მდგომარეობაში. ამჟამად იმყოფება პედიატრის მეთვალყურეობის ქვეშ, განვითარება შეესაბამება ასაკს.



დიდ მადლობას ვუხდით პროფესორ არკადი ვაჩიანს (Ruth Rappaport Children's Hospital, Rambam Health Care, Director, Pediatric Advanced LaparascopicSuregy), რომელმაც ტელეხიდის საშუალებით დიდი დახმარება გაგვიწია პაციენტის ოპერაციამდელი და ინტრაოპერაციული მართვისას.

ხმოვნა

რევაზ გაგუა



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაცია, რეზიდენტები, სტუდენტები და მკვლევრები გამოთქვამენ დიდ გულისტკივილს პროფესორ რევაზ გაგუას გარდაცვალების გამო.

ა.ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის გენერალური დირექტორი, უნივერსალური სამედიცინო ცენტრი/ონკოლოგიის ეროვნული ცენტრის სამედიცინო საბჭოს (Tumor Board) თავმჯდომარე, საქართველოს თორაკალურ ქირურგთა ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, საერთაშორისო და ეროვნული პროფესიული ასოციაციების წევრი, მაღალი რენომეს მქონე საერთაშორისო და ეროვნული დარგობრივი სამეცნიერო გამოცემების რედკოლეგიის და სარედაქციო საბჭოს წევრი, არაერთი საერთაშორისო და ეროვნული პრემიის, ჯილდოსა და სიგელის მფლობელი, საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1991), საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თსუ-ის პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „კლინიკური ონკოლოგიის" სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკის პროფესორი, საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი (2002), საქართველოს ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენის კავალერი (2010), საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი (2011); ეს არასრული ჩამონათვალია ბატონი რევაზ გაგუას პროფესიული, საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი დამსახურებებისა.

რევაზ გაგუას პროფესიული ბიოგრაფია 1969 წელს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, დაიწყო მის მშობლიურ ქალაქ ფოთში; შემდგომ სწავლა გააგრძელა მოსკოვის კლინიკური და ექსპერიმენტული ქირურგიის ინსტიტუტის ჯერ კლინიკურ ორდინატურაში, შემდგომ – ასპირანტურაში; დისერტაციის წარმატებით დაცვისა და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოპოვების შემდეგ იგი საქართველოში დაბრუნდა და, მართლაც, რომ ბოლო დღემდე თავდადებით, ღირსეულად ემსახურა ადამიანების ჯანმრთელობას, ჩვენი ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სისტემას, მომავალი მედიკოსების აღზრდასა და ჩამოყალიბებას მაღალკვალიფიციურ, მოაზროვნე და კომპეტენტურ სპეციალისტებად. მეტად დასაფასებელია ბატონი რევაზის როლი საქართველოში ონკოლოგიის სფეროს არა მარტო საექიმო, არამედ ორგანიზაციული ასპექტების განვითარებაში, რაც უპირობოდ უმნიშვნელოვანესია მოსახლეობის ჯანმრთელობის უზრუნველყოფის სისტემის ხარისხისათვის.

ბატონი რევაზ გაგუას აკადემიური მემკვიდრეობა მდიდარია: 250-მდე სამეცნიერო პუბლიკაცია, მონოგრაფიები, მეთოდური რეკომენდაციები და გაიდლაინები, რომელთა შემუშავების ინიციატორი და მთავარი ფიგურანტი თავად გახლდათ, 15 საავტორო უფლება, გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, ასობით პრეზენტაცია თუ მოხსენება ავტორიტეტულ სამეცნიერო ფორუმებზე. ბატონი რეზოს პუბლიკაციებში დასმული საკითხების დიდი ნაწილი უკვე ქრესტომათიულია, ნაწილი კი კიდევ დიდხანს მიიპყრობს მომავალ მკვლევართა და ექიმთა ყურადღებას, განსაკუთრებით – თორაკალური ქირურგიის სფეროში, რომლის განვითარება საქართველოში პროფესორ რევაზ გაგუას სახელთან ასოცირდება. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია 20-მდე სადისერტაციო ნაშრომი; ბატონი რევაზი იყო კეთილმოსურნე, მაგრამ, ამავე დროს, სრულიად ობიექტური და პირუთვნელი მოპაექრე, საინტერესო მოსაუბრე, მეტად ემპათიური და პროგრესული ადამიანი; მისი მაღალი პროფესიული კომპეტენციით, გულით და ხელით ბევრი ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობაა შენარჩუნებული.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ყოველთვის გრძნობდა ბატონი რევაზის მხარდაჭერას, იგი იყო ჩვენი მეგობარი, თანამოაზრე ბევრ სასიკეთო წამოწყებასა და აქტივობაში, რაც საქართველოში სამედიცინო განათლების განვითარებას და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას ემსახურებოდა.

ძალიან სამწუხაროა ბატონი რევაზ გაგუას მოულოდნელი წასვლა.... იგი დააკლდება მის ღირსეულ ოჯახს, ახლობლებს, პაციენტებს, სტუდენტებს, კოლეგებს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი გულისტკივილით ემშვიდობება პროფესორ რევაზ გაგუას და პატივს მიაგებს მის ხსოვნას.

თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტი

ძეგლიერება

გერმანელი პროფესორები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში არსებული პროგრამის ფარგლებში – „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ უცხოელი პროფესორების აკადემიური და სამედიცინო საქმიანობის ორგანიზება საქართველოში" – თბილისში იმყოფებოდნენ ქალაქ დუისბურგის (გერმანია) ყბა-სახის პლასტიკური ქირურგიისა და იმპლანტოლოგიური კლინიკის პროფესორები: თსსუ-ის საპატიო დოქტორი, მოწვეული პროფესორი ჰელმუტ ზიბერი და თსსუ-ის საპატიო დოქტორი, მოწვეული პროფესორი ვიქტორ ვაილერტი

23 მაისს გერმანელმა პროფესორებმა წაიკითხეს ლექციები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის მე-8, მე-10 სემესტრის სტუდენტების, რეზიდენტებისა და დაინტერესებული სპეციალისტებისთვის.

ლექციებს ესწრებოდნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი სამსონ მღებრიშვილი, უნივერსიტეტის პროფესორები, საუნივერსიტეტო კლინიკის ექიმები.

მრავალრიცხოვანმა დამსწრე აუდიტორიამ ინტერესით მოისმინა გერმანელი პროფესორების მიერ წაკითხული ლექციები: „ზედა ტუჩის და სასის თანდაყოლილი ნაპრალის კომპლექსური მკურნალობა" (ჰელმუტ ზიბერი), „ძვლის შემავსებლები და მემბრანები ექიმი სტომატოლოგის ყოველდღიურ პრაქტიკაში" (ვიქტორ ვაილერტი), „პირის ღრუს ლორწოვანის დაავადებების და სიმსივნეების დიაგნოსტიკა" (ჰელმუტ ზიბერი), „პირის ღრუს წინა საპროთეზო ქირურგია" (ვიქტორ ვაილერტი).

აღსანიშნავია, რომ ეს არ არის გერმანელი სტუმრების პირველი ვიზიტი სამედიცინო უნივერსიტეტში. ისინი, ტრადიციულად, უკვე რამდენიმე წელია, მაისის თვეში სტუმრობენ ჩვენს უნივერსიტეტს და საინტერესო ლექციებს უკითხავენ სტუდენტებს.

როგორც ლექციების შემდგომ სტუდენტებმა განაცხადეს, საინტერესო ლექციების მოსმენასთან ერთად მნიშვნელოვანი იყო ევროპელი პროფესორების გამოცდილების და მიღწევების გაცნობა.

აღსანიშნავია, რომ 21 მაისს, გერმანელმა პროფესორებმა თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში მიიღეს პაციენტები, გაუწიეს მათ უფასო კონსულტაციები, ხოლო 23 და 24 მაისს ჩაატარეს ოპერაციები თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში.

შატილოვების ოფთალმოლოგთა ოჯახი

პროფესორ ტატიანა შატილოვას სახელობის სტიპენდია

მრავალმხრივი, მეტად აქტუალური და ნაყოფიერი იყო პროფესორ ტატიანა შატილოვას თითქმის ნახევარსაუკუნოვანი (45 წელი) მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. მისთვის პრიორიტეტული – სამედიცინო განათლების ნებისმიერ დონეზე – ოფთალმოლოგიის სწავლების ხარისხის ამაღლება გახლდათ; იმ დროისათვის დიპლომამდელი – როგორც საერთო აკადემიური მომზადების აუცილებელი კომპონენტი, დიპლომისშემდგომი კი – დარგის სრულფასოვანი სპეციალისტის ჩამოყალიბებისათვის. პროფ. შატილოვასთვის მნიშვნელოვანი იყო ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლება, მისი ხელმძღვანელობით შესრულებული სამეცნიერო შრომები დღესაც ღირებულია.

მიმდინარე წლის 25 მაისს პროფ. ტ.ა. შატილოვას დაბადებიდან 105 წელი შეუსრულდებოდა. ამ თარიღთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ განიხილა თვალის სნეულებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, პროფ. მ. დვალის შუამდგომლობა და მიიღო გადაწყვეტილება – გამოჩენილი მეცნიერის, კლინიცისტისა და პედაგოგის, პროფ. ტატიანა შატილოვას სახელობის სტიპენდიის დაარსების შესახებ – ოფთალმოლოგიაში წარჩინებული, კონკურსში გამარჯვებული რეზიდენტისათვის.

ირინა თოდუა,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თვალის სნეულებათა დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი

ტატიანა შატილოვა

ტატიანა შატილოვა, ოფთალმოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1976წ), აშშ ნიუ-იორკის სამედიცინო აკადემიის (1998წ.) და საქ. სამედიცინო-ბიოლოგიური აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი. დაიბადა 1913წ. 27 მაისს ბათუმში. დაამთავრა გერმანული სასწავლებელი წარჩინებით, აგრეთვე წარჩინებით დაამთავრა თსსი-ის სამკურნალო ფაკულტეტი (1931–36). 1936 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (უნივერსიტეტის) თვალის სნეულებათა კათედრის კლინიკური ორდინატორია, შემდგომ კათედრის უფროსი ექიმ-ლაბორანტი. მის მიერ პირველად რესპუბლიკაში შეიქმნა ჰისტო-მორფოლოგიური ლაბორატორია და ანტიტუბერკულოზური კაბინეტი, სადაც მიმდინარეობდა სამეცნიერო-პრაქტიკული მუშაობა. 1946 წელს ტ. შატილოვამ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „თვალის ტუბერკულოზური დაავადებანი და მათი მკურნალობა ანტიტუბერკულინით“. იმავე წელს დაინიშნა თსსი-ის თვალის სნეულებათა კათედრის ასისტენტად. 1953 წელს ტ. შატილოვა არჩეულია რიაზანის აკადემიკოს ი. პ. პავლოვის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის თვალის სნეულებათა კათედრის გამგედ. 1957 წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია: „თვალის სისხლძარღვთა და ნერვების ცვლილებების მნიშვნელობა გლაუკომის პათოგენეზისათვის“. 1960 წელს არჩეულია თსსი-ის თვალის სნეულებათა კათედრის პროფესორად. 1966-88 წწ. იყო თვალის სნეულებათა კათედრის გამგე. მისი კლინიკური და სამეცნიერო მუშაობა მრავალმხრივი და მეტად აქტუალური იყო. ავტორია 168 სამეცნიერო ნაშრომისა. გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფიები მრავალტომეულში: „პირველადი გლაუკომის პათოლოგიური ანატომია“, „მეორადი გლაუკომის პათანატომია“(Медгиз. Москва). მის მიერ პირველად მსოფლიო ოფთალმოლოგიურ ლიტერატურაში აღწერილია რეცეპტორული ველი ცილიარული სხეულისა და სკლერის საზღვარზე და ბადურას სისხლძარღვების ცვლილებები გლაუკომის დროს. ტენზიორეცეპტორული ველი შეისწავლა მორფოლოგიურად და ფიზიოლოგიურად. მის მიერ ავტორებთან ერთად მოწოდებულია კვლევის ახლი მეთოდი – ელექტროცილიოგრაფია (დაცულია საავტორო მოწმობით). ელექტროცილიოგრაფიის მეთოდით შესწავლილია ნორმალური და მაღალი თვალშიდა წნევის გავლენა ელექტროცილიოგრამაზე, აგრეთვე გლაუკომის და თვალის ჰიპოტონიის დროს (ექსპერიმენტში და კლინიკაში). მოწოდებული აქვს ახალი ანტიგლაუკომატოზური ოპერაცია (მუსკულენკლეიზისი), მიოპიის საკორექციოდ – ლიმბოტომია. მან პირველად ოფთალმოლოგიურ პრაქტიკაში გამოიყენა კორუნდის კერამიკა საცრემლე გზების, ენუკლეაციის შემდგომი პროთეზირებისათვის და თვალის კაკლის ცირკლიაჟისათვის ბადურის ჩამოცლის დროს. მან აგრეთვე პირველმა გამოიყენა მელიტირებული (ნატურალურ თაფლში კონსერვირებული) ბრეფო (ემბრიონული) სკლერის იმპლანტაცია დისჰემიური და პიგმენტური დისტროფიების და პროგრესირებადი მიოპიის სამკურნალოდ (ყველა დაცულია საავტორო მოწმობებით). პიგმენტური დისტროფიების დროს მელიტირებული სკლერის იმპლანტაციის ოპერაციებთან დაკავშირებით პროფესორი ტ. შატილოვა სამუშაო ჯგუფთან ერთად მიწვეული იყო იტალიაში (1990წ.). პროფესორ შატილოვას ეკუთვნის იდეა ორგანოსპეციფიკური მკურნალობისა ორგანოს სტიმულაციისა და რეგენერაციისათვის. მის მიერ მოწოდებულია ჰიპოტონიის დროს ცილიარული სხეულის ელექტროსტიმულაცია, ბადურის დისჰემიური დისტროფიების კლასიფიკაცია. შრომების ციკლი მიძღვნილი ცილიარული სხეულის ნერვული აპარატისა და სისხლძარღვოვანი სისტემის მნიშვნელობას გლაუკომის ეტიოპათოგენეზში აისახა აკადემიკოს ტ. შატილოვას მონოგრაფიაში „Глаукома – ишемическая болезнь глаза“... 2003 წ.

2002 წელს აშშ ბიოგრაფიის ინსტიტუტის დადგენილებით ტ. შატილოვას მიენიჭა „წლის ქალის“ წოდება. არის შრომის წითელი დროშის და სამამულო ომის II ხარისხის ორდენოსანი.

პროფესორი მერაბ დვალი,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თვალის სნეულებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე შატილოვი



პროფესორი ალექსანდრე შატილოვი და მისი მეუღლე და თანაშემწე ზინაიდა შატილოვა 1930

ალექსანდრე შატილოვი დაიბადა 1868 წელს თბილისში. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც 1887 წელს დაამთავრა. ა. შატილოვი შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე. უნივერსიტეტიდან მალე გარიცხეს სტუდენტთა გამოსვლებში მონაწილეობისათვის. მან სწავლა განაგრძო დერპტის (ტარტუს) უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც 1897 წელს დაამთავრა. მუშაობდა დერპტში ცნობილი ოფთალმოლოგის – პროფესორ რელმანის ხელმძღვანელობით. შემდგომ თბილისში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო თვალის სნეულებათა საავადმყოფოს ორდინატორად გ. ტარსაიძესთან.

1901 წელს ა. შატილოვი სამუშაოდ მიიწვიეს ბათუმში, როგორც ღრმად ერუდირებული, გამოცდილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაში. თავისუფლად ფლობდა გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ, ლათინურ და ბერძნულ ენებს. იღრმავებდა ცოდნას რუსეთის თვალის სნეულებათა წამყვან კლინიკებში. იყო საერთაშორისო ოფთალმოლოგიური კონგრესების მონაწილე – პრაღაში და ბერლინში.

1918 წელს, ბათუმის თურქების ოკუპაციის გამო, ოჯახთან ერთად გადმოსახლდა თბილისში და მუშაობა დაიწყო რკინიგზის საექიმო-სანიტარული ნაწილის უფროსად. 1933 წელს აირჩიეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის თვალის სნეულებათა კათედრის გამგედ. იმავე წელს უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ მიანიჭა პროფესორის წოდება. ხელმძღვანელის რანგში იგი ეწევა მეტად ინტენსიურ და ნაყოფიერ პედაგოგიურ, კლინიკურ, სამეცნიერო და საორგანიზაციო მუშაობას. გაიხსნა რენტგენოლოგიური და ფიზიოთერაპიული კაბინეტები, პათოჰისტოლოგიური ლაბორატორია, აწარმოებს სამეცნიერო კვლევებს. შეიმუშავა იმ დროისათვის მეტად აქტუალური – თვალის ტუბერკულოზური დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდები. რამდენიმე მისი შრომა მიძღვნილია გლაუკომის პრობლემებისადმი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის თვალის სნეულებათა კათედრას და საქართველოს ოფთალმოლოგთა საზოგადოებას ხელმძღვანელობდა მოღვაწეობის დასრულებამდე. ალექსანდრე შატილოვი მაღალი ერუდიციის კლინიცისტი და ოფთალმოლოგიური დიაგნოსტიკის საუკეთესო მცოდნე იყო. მისი ხელმძღვანელობით პირველად საქართველოში დაიცვეს დისერტაცია ოფთალმოლოგიის აქტუალურ საკითხებზე ა. სიხარულიძემ, ნ. ბერაძემ, ნ. შიხინაშვილმა, ტ. შატილოვამ და სხვ. ბევრი დაწერილა მის პიროვნულ თვისებებზე, ქველმოქმედებაზე. იგი სამართლიანად ითვლება ქართული სამეცნიერო ოფთალმოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

პროფესორი მერაბ დვალი,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თვალის სნეულებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი

მამაჩემი – ალექსანდრე შატილოვი

მამაჩემი, ალექსანდრე შატილოვი, შესანიშნავი, თვალსაჩინო სპეციალისტი და პიროვნება იყო. მასზე ბევრი რამ დაწერილა. იგი სამართლიანად ითვლება ქართული სამეცნიერო ოფთალმოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად. ამ წერილში მინდა შევჩერდე მამაჩემის პიროვნებაზე, როგორც აღმზრდელზე და მის პიროვნულ დამოკიდებულებაზე ავადმყოფებთან... რაც თავი მახსოვს, მახსოვს დედაჩემი და მამაჩემიც, განსაკუთრებული სიცხადით კი – ყველაფერი, რაც 1918 წელს ეხება. ჩვენი ოჯახი ბათუმიდან თბილისში გადმოსახლდა. ჩემს სულიერ განვითარებაში ორივე მშობელს დიდი წვლილი მიუძღვის, თუ დედაჩემმა მწიგნობრობას მიმაჩვია, მამაჩემი ბუნების და ცხოველთა სამყაროში მარკვევდა. საღამოს აივანზე გამოსული მამაჩემი წარმოდგენას მიქმნიდა დროსა და სივრცეზე. ძალიან მიკვირდა, რომ დიდი ხანი ჩამქრალი ვარსკვლავი ისევ ბრწყინავდა ცაში. ან და რა დრო გადიოდა ელვასა და ქუხილს შორის. ჩემს ბავშვობაში მე დიდხანს ვოცნებობდი ასტრონომობაზე. ჩვენს ოჯახში ცხოველებიც სრულუფლებიანი წევრები იყვნენ (კატები და ძაღლები).

საინტერესოა დამოკიდებულება რელიგიის მიმართ. მამაჩემი ათეისტი იყო, დედაჩემი კი ნეიტრალურად ეკიდებოდა ამ საკითხს. რასაკვირველია, ბავშვობაში მეც ათეისტი ვიყავი, მაგრამ 12-13 წლის ასაკში უეცრად რაღაც შეიცვალა ჩემს სულიერ ცხოვრებაში. ღრმად ვირწმუნე ღმერთი. მოვითხოვე ჩემი ნათლობის ჯვარი, ჩამოვიკიდე იგი კისერზე და ვლოცულობდი დილას და საღამოს, რასაკვირველია მთელი ოჯახის კეთილდღეობისათვის.

...მამაჩემი სახლში ავადმყოფებს ღებულობდა. მე მიყვარდა კაბინეტში ყოფნა, ვაკვირდებოდი მამას და ავადმყოფებს. ამავე დროს, საექიმო ეთიკასაც ვითვისებდი.

მახსოვს მამასთან მოიყვანეს კეთროვანი ავადმყოფი, რომელიც საშინლად გამოიყურებოდა – შეჭმული ქუთუთოებითა და ცხვირით, ის კიბეზე იჯდა, მე უნდა გამევლო მის წინ. ძალიან შევშინდი, მაგრამ, ამავე დროს, ვიფიქრე, რომ ავადმყოფს არ უნდა დავანახო ჩემი შიში და ზიზღი, უნდა მომეკრიფა მთელი ძალა, რომ მის წინ მშვიდად გამევლო. ასეც მოვიქეცი.

ექიმისა და ავადმყოფის ურთიერთდამოკიდებულება ფსიქოლოგიის რთული და მნიშვნელოვანი სფეროა. დღემდე, სამედიცინო ინსტიტუტში, ფსიქოლოგია, როგორც წესი, არ ისწავლება – და, ტყუილად. მამაჩემი, ალექსანდრე შატილოვი, ღრმად ჩაწვდებოდა ხოლმე ავადმყოფს როგორც მატერიალურ, ისე სულიერ სფეროებში. ავადმყოფები აღმერთებდნენ მას, ის კი ზოგს ეფერებოდა, ზოგის მიმართ კი მკაცრი იყო. განსაკუთრებით მას ეცოდებოდა ბავშვები. მაშინ, ოციან წლებში, ჯერ არ იყო საქართველოში განვითარებული ოფთალმოპედიატრია. არ არსებობდა ბავშვთა განყოფილება (პირველი ბავშვთა განყოფილება გაიხსნა შეროზიას ქუჩაზე ჩემი კათედრის გამგეობის დროს) და მამაჩემი ხშირად ტოვებდა ბავშვებს ჩვენს სახლში. დედაჩემი – მამაჩემის ერთგული დამხმარე, თავის თავზე იღებდა ამ ტვირთს, რასაკვირველია, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

მახსოვს აჭარელი გოგონა, სახელად ზექია, რომელიც ჩვენთან დიდხანს ცხოვრობდა, სანამ არ განიკურნა (ამაზე კარგი მოთხრობა აქვს დაწერილი მამამისის ნაამბობიდან სერგო კლდიაშვილს). ბათუმელი ბიჭი პეტია გლუშჩენკო, განჯელი მარუსა კაკალოვა და სხვ. მარგალიტა ტულაშვილს თავის მოგონებებში აღწერილი აქვს, როგორ გადაარჩინა ექიმმა შატილოვმა უპატრონო ბავშვთა სახლის ბავშვები სიბრმავისაგან. არა მარტო იმით, რომ დასვა დიაგნოზი, არამედ მოაგვარა ბავშვთა კვებისა და წამლების საკითხი. თვითონ შემოიარა მდიდარი ვაჭრები და მოაზიდინა მათ საკვები პროდუქტები (მაგ. მარტო ერთ დღეში საჭირო იყო 5 კგ ღვიძლი). ფეხსაცმლის ფაბრიკის მფლობელმა ადელხანოვმა შეუკერა ფეხშიშველა ბავშვებს ფეხსაცმელები. ა. შატილოვის უანგარობა ფართოდ იყო ცნობილი ხალხში.

კაბინეტში მაგიდაზე იდგა ჯამი, რომელშიც ვისაც რამდენი უნდოდა, იმდენ თანხას დებდა, ზოგი კი პირიქით, იქედან თანხას იღებდა. მძიმე ავადმყოფები თვეობით მკურნალობდნენ უფასოდ. ეს ეხებოდა, აგრეთვე, ოპერაციებს. იგი ბრწყინვალე ოფთალმოქირურგი იყო. ზოგი ავადმყოფი, შემდეგ გადადიოდა მეგობრების კატეგორიაში, ასე მაგალითად, ტიციან ტაბიძის ქალიშვილი, ჩვენი ოჯახის ნათესავზე უფრო ახლო მეგობარია მთელი სიცოცხლის განმავლობაში. აპოლონ შეროზია, რომელიც 17 წლის ასაკში მძიმე დაავადების გამო მკურნალობდა მამაჩემთან, გახდა დიდი მეცნიერი, პროფესორი ფსიქოლოგიის დარგში და მამაჩემის სიკვდილის შემდეგ, როდესაც მე გადავედი რუსეთში სამუშაოდ, გადმოსახლდა დედაჩემთან და უვლიდა მას, როგორც შვილი.

ძალიან დიდი ენერგიის და ძალის მქონე ადამიანი იყო მამაჩემი. მთელი დღის დამქანცველი მუშაობის შემდეგ იგი ყოველდღე მეცადინეობდა 2-3 საათამდე. იწერდა მკურნალობის საშუალებებს 4 ენაზე. ყოველთვის თანამედროვე მედიცინის კურსში იყო. სამაგიეროდ, დასვენებაც იცოდა. კვირაობით თავის მეგობრებთან ერთად, ეს იყო გრიგოლ სოღორაშვილი, ვალერიან როსტომბეკოვი, დადიოდნენ თბილისის შემოგარენში. შაბათობით – სხვა კომპანიაში, რომლის აუცილებელი წევრი იყო მისი უნივერსიტეტის ამხანაგი მაქსიმე ღამბარაშვილი – თამაშობდნენ პრეფერანსს.

...ცხოვრების გრძელი და რთული გზა განვლო მამაჩემმა, მაგრამ,რაც მთავარია დატოვა ნათელი კვალი და ოფთალმოლოგიური სკოლა, რომელიც გამოირჩევა არა მარტო საგნობრივი სპეციფიკით, არამედ სულიერი განწყობით დამოკიდებული საქმისადმი – ადამიანისადმი. იყო ალ. შატილოვის მოსწავლე, ნიშნავს – არა მარტო მაღალი რანგის სპეციალისტს, არამედ ღირსეულ ადამიანს – ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

პროფესორი
ტატიანა შატილოვა
1998 წელი

(სრული ვერსია დაიბეჭდა 1999 წლის მარტში „სამედიცინო გაზეთში“, იბეჭდება მცირედი შემოკლებით, სტილი დაცულია)

ეთერ ბოცვაძის გახსენება

2017 წელს 90 წლის გახდებოდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე„ საქართველოს სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ნამდვილი წევრი, საყოველთაოდ აღიარებული მკვლევარი, დიდი კლინიცისტი და ღვაწლმოსილი პედაგოგი, პროფესორი ეთერ ბოცვაძე, რომელიც საქართველოში ინფექციური პათოლოგიის დარგის აღიარებული ლიდერი და ქართული სამედიცინო საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურა გახლდათ.

ქალბატონი ეთერი უკვე რამდენიმე წელია აღარ არის ჩვენ შორის, მის მიერ დატოვებული კვალი კი სამუდამოდ აღიბეჭდა არაერთი თაობის მეხსიერებასა და გულში.

ექვს ათეულ წელზე მეტხანს ეთერ ბოცვაძე დაუღალავად და თავდადებით ემსახურა ექიმთა თაობის აღზრდის ურთულეს საქმეს. მან განვლო ღირსეული გზა სამედიცინო ინსტიტუტის წარჩინებული კურსდამთავრებულიდან და ასპირანტიდან ინფექციურ სნეულებათა კათედრის გამგემდე, რომელსაც ორი ათეული წელი ხელმძღვანელობდა.

შეუძლებელია არ აღინიშნოს ქალბატონი ეთერის განსაკუთრებული ღვაწლის შესახებ ვირუსული დაავადებების კვლევასა და შესწავლაში; ინფექციური პათოლოგიის არცერთი აქტუალური საკითხი არ დარჩენილა მისი ყურადღების მიღმა. იგი 300-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომელთა შორის 6 მონოგრაფიაა.

სრულიად განსაკუთრებული გახლდათ ქ-ნი ეთერ ბოცვაძის ღვაწლი, როგორც პედაგოგის, არაერთი თაობის აღმზრდელის... მისი ლექციები გამორჩეული იყო სამეცნიერო სიახლით და საკითხის ფართო გაშუქებით. მოწაფეები, ყოფილი სტუდენტები ხშირად აღნიშნავენ, რომ მის მიერ მოწოდებული მეცნიერული სიახლეები ძალზე მნიშვნელოვანი იყო და არაერთხელ დაეხმარა მათ პრაქტიკულ საქმიანობაში; მასთან მუშაობისას მიღებული ჩვევები და თვისებები კი მათი წარმატების ქვაკუთხედად იქცა მომავალში.

ბოლო პერიოდში, მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, ხშირად ინტერესდებოდა მოწაფეების საქმიანობით, ხარობდა მათი წარმატებებით...

უდიდესი შრომისმოყვარეობა და ერუდიცია, წარმატების თუ წარუმატებლობის სწორი შეფასების უნარი განსაზღვრავდა მის ფართო სამეცნიერო დიაპაზონს...

ინდივიდუალიზმით გამორჩეული, ძლიერი ნებისყოფის მქონე, მიზანმიმართული ქალბატონი მრავალმხრივ გამორჩეული პიროვნება გახლდათ – დიდი მამულიშვილი, სიკეთის, ნიჭიერების, განათლების, გულწრფელობის, კეთილშობილების, ზნეობის მაგალითი ყველასთვის; ლიტერატურის მოყვარული, პოლემისტი ქალბატონისგან სამეცნიერო ოპონენტებს არაერთხელ უგრძვნიათ მისი არგუმენტების ძალა, ხოლო კოლეგებს – პატივისცემა და თანადგომა.

ქალბატონი ეთერის კოლეგებს, მოწაფეებს კარგად ახსოვთ მისი ცნობილი ფრაზა: „როგორც ცხოვრებაში, ისე მეცნიერებაში, თავი უნდა დაუხარო არა თანამდებობას, არამედ – ნიჭს.“

დიდი ავტორიტეტის მქონე, წარმატებული და დაფასებული, – ასეთად დარჩა ქალბატონი ეთერი კოლეგებისა და აღზრდილების ცნობიერებაში.

პროფესორი მელენტი ყურაშვილი – 100

მელენტი ყურაშვილი... ამ სახელისა და გვარის გაგონებისას, ყველას, ვინც ამ დიდბუნებოვან პიროვნებას იცნობდა, თვალწინ წარმოუდგება ახოვანი, ელეგანტური, დინჯი, ტკბილმოუბარი ადამიანი.

მელენტი ყურაშვილი 100 წლის წინ დაიბადა მარტვილის რაიონის სოფელ ჯოლევში, საეკლესიო მოღვაწის ოჯახში. მშობლები – მღვდელი (შემდგომში სოფლის მასწავლებელი) ეპიფანე ყურაშვილი და მარიამ გაბუნია, ღვთის სიყვარულით ზრდიდნენ თავიანთ ხუთ ვაჟს, ადრეული წლებიდანვე უნერგავდნენ სწავლა-განათლებისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას და სრულიად ბუნებრივი იყო, რომ შემდგომში ხუთივე ძმა პროფესორი გახდა და ქვეყანას თავდადებით ემსახურებოდა.

ბატონი მელენტის შრომითი მოღვაწეობის ადრეული წლები დაკავშირებულია პედაგოგიურ საქმიანობასთან – ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გახლდათ. მისი შემდგომი საქმიანობა უკავშირდება სამხედრო სამსახურს, სამხედრო ექიმის რანგში. 1940 წლიდან, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, მოქმედ არმიაშია. ომის დაწყების პირველივე დღეს, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობის ბრძანებით, ირანში განთავსებული ერთ-ერთი ავიაბაზის სანიტარიული სამსახურის უფროს ექიმად დანიშნეს. შემდეგ იმ გამანადგურებელი ავიაპოლკის უფროსი ექიმი იყო, რომელსაც ვასილ სტალინი მეთაურობდა. მან ბრძოლით განვლო ომის ქარცეცხლიანი გზები. აღსანიშნავია, რომ იწვნია ლენინგრადის 900-დღიანი ბლოკადის მთელი ტრაგიზმი.

მხოლოდ 1947 წელს დაუბრუნდა სამოქალაქო ცხოვრებას და მთელი შემდგომი ცხოვრება შრომის მედიცინის განვითარებას მიუძღვნა. მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, 1947-1973 წლებში გახლდათ ნ. მახვილაძის სახელობის შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომის ჰიგიენის განყოფილების ხელმძღვანელი. აღნიშნული პერიოდი ინსტიტუტის საქმიანობის საუკეთესო წლები იყო. ამ დროს შეისწავლეს საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა წამყვანი დარგის მუშაკთა შრომის პირობები და ჯანმრთელობის მდგომარეობა; შემუშავდა პროფილაქტიკის ეფექტური ღონისძიებები; არ დარჩენილა საქართველოს ეროვნული მეურნეობის არც ერთი წამყვანი საწარმო, სადაც ბატონ მელენტის არ მიეღო უშუალო მონაწილეობა ჰიგიენურ-ფიზიოლოგიური კვლევების ჩატარებაში.

1973 წლიდან ბატონი მელენტის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა მთლიანად უკავშირდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტს (უნივერსიტეტს). იგი სათავეში ჩაუდგა მისი ინიციატივით ჩამოყალიბებულ შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა კათედრას და თვისობრივად ახალ დონეზე აიყვანა სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, რომლის კომპლექსურობა და ურთიერთგანპირობებულობა დრომ დაგვანახა – დღეს ეს ორი სამეცნიერო-პრაქტიკული მიმართულება მთელ მსოფლიოში კომპლექსური სამედიცინო მიმართულების – შრომის მედიცინის – სახელითაა ცნობილი. კათედრის გამგის თანამდებობაზე თითქმის 20-წლიანი (1973-1992 წ.წ.) და კათედრის პროფესორის თანამდებობაზე (2004 წლამდე, გარდაცვალებამდე) მოღვაწეობისას, აქტიურ პედაგოგიურ და მეთოდურ საქმიანობას ეწეოდა; წარმატებით კითხულობდა ღრმაშინაარსიან ლექციებს და ატარებდა სემინარულ მუშაობას შრომის ჰიგიენაში, რასაც ამდიდრებდა ხანგრძლივი პროფესიული

საქმიანობის პერიოდში შექმნილი უნიკალური საარქივო მასალით.

ბატონი მელენტი ეწეოდა ნაყოფიერ მეთოდურ მუშაობას. მის მიერ შედგენილია პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების მეთოდური დამუშავებები შრომის ჰიგიენის ცალკეულ საკითხზე; გამოცემულია მეთოდური პრაქტიკუმი შრომის ჰიგიენაში და ა.შ.

წლების მანძილზე გახლდათ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გაერთიანებული პროფკომიტეტის თავმჯდომარე, სადისერტაციო საბჭოების წევრი, სწავლების კონტროლის შიდასაინსტიტუტო კომისიის ხელმძღვანელი (ამ დროს შეადგინა პრაქტიკული ჩვევების ათვისების დამადასტურებელი ჩათვლის წიგნაკი), სან-ჰიგიენის ფაკულტეტის ციკლობრივი მეთოდური კომისიის თავმჯდომარე და სხვ. მეტად ნაყოფიერი იყო ბატონ მელენტის სამეცნიერო მუშაობა – გახლდათ შრომის ჰიგიენის მიმართულების – სამრეწველო მიკროკლიმატის ჰიგიენის და სითბოს ცვლის ფიზიოლოგიის – განვითარების ერთ-ერთი პიონერი. მისი საკანდიდატო (1958 წ) და სადოქტორო (1970 წ) დისერტაციები ეძღვნება ამიერკავკასიის კლიმატურ ზონაში ცხელი პროფესიების მუშაკთა შრომის ჰიგიენის საკითხებს, აღნიშნული პრობლემისადმია მიძღვნილი ბატონი მელენტის ავტორობითა და რედაქტორობით გამოცემული არაერთი სამეცნიერო და პოპულარული გამოცემა. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია არაერთი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. ეკუთვნის შრომის მედიცინის აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილი 200-მდე სამეცნიერო შრომა.

ბატონი მელენტის ხანგრძლივი მოღვაწეობა ღირსეულად დაფასდა სამხედრო და სამოქალაქო სახელმწიფო ჯილდოების, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ტიტულის მინიჭებით, უმაღლესი მთავარსარდლის მადლობით.

ბატონ მელენტისთან მუშაობა ადვილიც იყო, საინტერესოც და სასიამოვნოც. ხანგრძლივი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე, იგი სტუდენტებს და ჩვენ, მოწაფეებს, პირველ რიგში, გვასწავლიდა უმთავრეს „მეცნიერებას“ – „ადამიანურ ურთიერთობებს“ და, მხოლოდ ამის შემდეგ, სპეციალობას – შრომის ჰიგიენას. ჭეშმარიტი მეცნიერი, ის მთელი თავისი არსებით უაღრესად თბილი და კეთილმოსურნე ადამიანი გახლდათ. უმცროს კოლეგებსა და მოწაფეებს არაერთი მაგალითი გვახსოვს მისი თბილი დამოკიდებულებისა, რაც ხშირად სცილდებოდა ოფიციალურ ურთიერთობების ფარგლებს. ეს გარემოება კიდევ ერთი სტიმული იყო მის გვერდით და მისი ხელმძღვანელობით ინტენსიური, მაგრამ ძალდაუტანებელი მუშაობისათვის. სწორედ მისი ასეთი ადამიანური თვისებების გამო აღვიქვამდით კათედრას ჩვენს მეორე ოჯახად. სასიამოვნოა, რომ ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება, რაშიც დიდია ბატონი მელენტის წვლილი – იგი დღესაც ჩვენი გზამკვლევია ცხოვრების რთულ ლაბირინთში.

პროფესორი
რევაზ კვერენჩხილაძე,
თსსუ-ის გარემოს ჯანმრთელობისა
და პროფესიული მედიცინის
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ნინო ლომთათიძის ხსოვნას

მუდამ კეთილი ღიმილი დასთამაშებდა ბაგეზე, მუდამ სითბოს ასხივებდნენ მისი ზურმუხტისფერი თვალები; სწორედ ისეთი იყო, პოეტი მარი აბრამიშვილი რომ ამბობს თავის ერთ ლექსში: „შენ თვითონ ჰგავხარ ყველაფრის წამალს, რა საჭიროა შენი წამლები“.

გაუტეხელი იყო, მამაცი და შემტევი. კომპრომისები არ სჩვეოდა. უსაქმოდ გაჩერება არ შეეძლო: გულისხმიერი ექიმი, ალღოიანი მკვლევარი, ყურადღებიანი პედაგოგი, ამასთან ერთად დიდი ოჯახის დიასახლისი გახლდათ. მაშინაც კი, როცა უკვე აღარ მუშაობდა კათედრაზე, როცა ყველა დააოჯახა და დააბინავა, უფუნქციოდ არ დარჩენილა – თავის საყვარელ საქმეს, ქარგვას (რისთვისაც მანამდე ვერასოდეს იცლიდა), მიუბრუნდა. გადაჭარბებული სულაც არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მისი ნამუშევრების თემატიკა, შესრულების ტექნიკა და მხატვრული გემოვნება ერთდროულად გაოცებას, მოწიწებასა და აღფრთოვანებას იწვევს მნახველში.

გაზაფხულივით მშვენიერი სწორედ გაზაფხულზე მოევლინა ქვეყნიერებას – 1930 წლის 17 მაისს. დედაქალაქში გაიზარდა და საშუალო განათლებაც აქვე მიიღო. 1956 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. სრულიად ახალგაზრდა სპეციალისტი განაწილებით აფხაზეთში მოხვდა და ტყვარჩელის საავადმყოფოს ინფექციური დაავადებების განყოფილებას ჩაუდგა სათავეში. თითქმის 12 წელი გაატარა ამ თანამდებობაზე, შემდეგ გულმა თბილისისკენ გამოუწია. უკვე დაოჯახებული, 3 შვილთან და შესანიშნავ მეუღლესთან ერთად, დაუბრუნდა მშობლიურ სახლს. აქედან დაიწყო ახალი ეტაპი მის სამსახურებრივ კარიერაში: 1968-1973 წლებში შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა ს/კ ინსტიტუტში მუშაობდა მეცნიერ თანამშრომლად, შემდეგ კი, 1973 წლიდან სამეცნიერო-პედაგოგიურ ასპარეზზეც მოსინჯა ძალები და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის იმჟამად ახლად ჩამოყალიბებული შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა კათედრის ასისტენტი გახდა. მერე იყო უამრავი კვლევა მთელი საქართველოს მასშტაბით, რამაც 50-ზე მეტ სამეცნიერო ნაშრომში ჰპოვა ასახვა; დისერტაციის ბრწყინვალედ დაცვა, კონფერენციები, ინოვაციების დანერგვა პროფესიული ალერგოზების საკითხებზე, დოცენტის წოდება და თანამდებობა, კოლეგების სიყვარული და პატივისცემა...

არც გასაჭირი დაჰკლებია ცხოვრებაში: მეუღლე ადრე დაკარგა და მარტოს მოუხდა შვილების ფეხზე დაყენება, თუმცა, არასდროს დაუწუწუნია. და დაუფასდა კიდეც შრომა – ღირსეული, პატივსაცემი შვილები აღზარდა და მათი სიყვარულითა და ზრუნვით იყო გარემოცული. ძლიერი იყო და ვერც ვერაფერი წააქცევდა კარგა ხანს, რომ არა ის უზარმაზარი ტკივილი, რომელიც სათაყვანებელი შვილიშვილის ტრაგიკულმა დაღუპვამ მოუტანა.

ძნელია მასზე წარსულ დროში ნერა. ჭრილობა ჯერ ახალია და სისხლმდინარი. დრო, მართალია, ტკივილს გააფერმკრთალებს, მაგრამ ყველას, ვისაც 1973-2006 წლებში შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა კათედრაზე (შემდგომში – გარემოს ჯანმრთელობისა და პროფესიული მედიცინის დეპარტამენტი) გვიმუშავია, სიცოცხლის ბოლომდე გვემახსოვრება ჩვენი ძვირფასი ქალბატონი ნინო ლომთათიძე, ჩვენი საყვარელი ნუნუ და მისი სხივოსანი თვალები.

თსსუ-ის გარემოს ჯანმრთელობისა და
პროფესიული მედიცინის
დეპარტამენტის თანამშრომლები

ექიმი – მხატვრის მუზა

ცნობილი ფრანგი პოსტიმპრესიონისტის, ანრი მარი რაიმონ დე ტულუზ ლოტრეკის (Henri Marie Raymond de Toulouse-Loutrec-Monfa), ან უბრალოდ – ანრი ტულუზ-ლოტრეკის არაერთი გატაცების შესახებ იციან ხელოვნების მოყვარულებმა, მაგრამ ნაკლებად საუბრობენ იმაზე, რომ კაფე-ბარებისა და ბორდელების გარდა, მხატვარს, რომელიც საკმაოდ განათლებული და არისტოკრატიული ოჯახის წარმომადგენელი გახლდათ, უსაზღვროდ აინტერესებდა მედიცინა. საათობით უსმენდა ხოლმე მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტს, გაბრიელ ტაპიეს. ისინი გატაცებით საუბრობდნენ მითოლოგიურ ექიმზე – პეანოსზე, რომელიც ოლიმპოს მთის ყველა ბინადარს უწევდა სამედიცინო დახმარებას. ტულუზ ლოტრეკზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა ის ამბავი, თუ როგორ გაიმეტა საკუთარმა მასწავლებელმა, ასკლეპიოსმა, პეანოსი, როგორ ბრძანა მისი მოწამვლა... მაგრამ მკურნალის მადლიერმა ქვესკნელის ღვთაებამ, აიდმა, ვერ გაიმეტა პეანოსი. მან ის მცენარედ გადააქცია, რომლის ფესვებითაც მკურნალი თავისი ექიმობის მანძილზე, არაერთ სნეულს უმსუბუქებდა მდგომარეობას და აჯანმრთელებდა...

ტულუზ ლოტრეკმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ საფრანგეთში ცნობილი ექიმი, ჟიულ ემილ პეანი, გვარის ჟღერადობით პეანოსს ახსენებდა...

ეს იყო უბრალო მეწისქვილის ოჯახში გაზრდილი ყმაწვილი, რომელმაც განათლების მიღება საკმაოდ გვიან, 15 წლის ასაკიდან დაიწყო. ამას ხელი არ შეუშლია, რომ ორ წელიწადში მთელი პროგრამა დაეფარა და სიმწიფის ატესტატი აეღო.

შემდეგ პარიზის უნივერსიტეტში მიიღო სამედიცინო განათლება. დიდი დაკვირვებით სწავლობდა ყველაფერს, ზოგჯერ გამოცდების ჩაბარებას ცოტათი აგვიანებდა კიდეც – ვიდრე სრულყოფილად არ შეისწავლიდა საგანს, თავს არ დაანებებდა. მას იზიდავდა ყველაფერი ახალი, ჰქონდა გამბედაობა თავის თავზე აეღო სიახლის დანერგვა ისეთ ტრადიციულ და აკადემიურ სფეროში, როგორიც მედიცინა იყო... მისი გამოგონება იყო სისხლდენის მომჭერი, რომლითაც დღესაც სარგებლობენ ქირურგები, მანვე გააკეთა კუჭის პირველი რეზექცია, შეიმუშავა საკვერცხის ამოკვეთის ახალი მეთოდი, პირველად მსოფლიოში გააკეთა ტრანსვაგინალური ჰისტერექტომია საშვილოსნოს კიბოს დროს, მხრის სახსრის ენდოპროთეზირება...

ტულუზ-ლოტრეკი ოცნებობდა დასწრებოდა პეანის ოპერაციას, ენახა მისი ვირტუოზული ხელოვნება. ოცნება აისრულა კიდეც გაბრიელ ტაპიეს დახმარებით. მან ანრი ტულუზ ლოტრეკი საოპერაციოში შეიყვანა. იმ ბედნიერ დღეს მხატვარი ცნობილი ქირურგის ხელოვნების მოწმე გახდა. პროფესორი 62 ნლისა იყო და პროფესიონალიზმის ზენიტში იმყოფებოდა.

ბევრს ქირურგიული მანიპულაციების ყურება თრგუნავს, მაგრამ ტულუზ-ლოტრეკი აღფრთოვანებული იყო. მას განსაკუთრებით ხიბლავდა ის ერთგვარი ტრიუმფალური განცდა, რომლითაც ცნობილი ქირურგი ხელში სკალპელს იღებდა. პეანი ქირურგიულ მაგიდასთან ძალიან ახლოს დაჯდა. ის თითქოს საზეიმოდ იყო გამოწყობილი, ფრაკი არც გაუხდია, მხოლოდ თეთრი ტილო მიიფარა მკერდზე. მხატვარი აღტაცებული ყვებოდა, როგორი მოქნილი მოძრაობით ხმარობდა სკალპელს ქირურგი. ამავე დროს რაღაცაზე საუბრობდა...

ტულუზ-ლოტრეკი ხატავდა პეანს სხვადასხვა მდგომარეობაში: საუბრისას, შუბლის მოწმენდის დროს, ჭრილობაში მომზირალს... მხატვარი გულწრფელად ამბობდა, რომ ქირურგის ზურგს – ძლევამოსილს და მოქნილს – თვალს ვერ წყვეტდა. თითქოს ეს იყო მოჭიდავის დაკუნთული სხეული, რომელიც გარკვეული დაძაბულობით გადახრილიყო რაღაცაზე... ამ დროს ხელები ძალიან თავისუფლად მუშაობდნენ.

ოპერაციის დასრულების შემდეგ, ტულუზ-ლოტრეკმა ერთ



ჰენრი გერვექსი
„ჟიულ ემილ პეანი და მისი ქირურგიული კლასი ოპერაციამდე“



ტულუზ-ლოტრეკი
„პეანის ოპერაცია“

პატარა ფრაზაში ჩაატია ნანახით აღფრთოვანება: „მას ორივე ხელი მარჯვენა აქვს“. ანრი ტულუზ-ლოტრეკმა იმ დღეს არაერთი ჩანახატი გააკეთა. მისი ორი ნამუშევარი კი საქვეყნოდ ცნობილი გახდა: „პეანის ოპერაცია“ და „ტრახეოსტომია“.

თუმცა ანრი ტულუზ ლოტრეკი არ იყო პირველი, ვინც თავის მუზად ცნობილი ქირურგი აქცია, ლორტეკამდე 5 წლით ადრე მხატვარმა ჰენრი გერვექსმა შექმნა ცნობილი ტილო: „ჟიულ ემილ პეანი და მისი ქირურგიული კლასი ოპერაციამდე“.

ანრი ტულუზ ლოტრეკს აინტერესებდა არა ფაქტი სამედიცინო ჩარევისა, არამედ მისი როგორც ცხოვრებისეული წარმოდგენის აღქმა. მისთვის ესეც ერთგვარი „გულახდილობა“ იყო: დაფარულის გამომზეურება, შეუცნობლის შეცნობა. მას ბევრი „სენი“ ჰქონდა ნანახი პარიზის „ფსკერზე“ და დიდ ემოციას იღებდა იქედან. მაგრამ არანაკლები იყო ადამიანის შიგნით არსებული საიდუმლო.

„რომ არ ყოფილიყო დაავადებული, ალბათ აუცილებლად ექიმი გახდებოდა“, – წერდა ტულუზ ლოტრეკზე მისი ბიოგრაფიული წიგნის ავტორი ანრი პერუშო.

საუბედუროდ, თავად გახლდათ მძიმე სნეული და ტკივილით გატანჯული მხატვარი სხვების მკურნალობას ვერ შეძლებდა...

უმაღლეს სამედიცინო განათლებას გასული საუკუნის დასაწყისში (1918 წელს) ჩაეყარა საფუძველი საქართველოში.

ქართული სამეცნიერო ინტელიგენციის მიერ რუდუნებით დაფუძნებული სამკურნალო ფაკულტეტი გახდა კიდეც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (სამედიცინო უნივერსიტეტის) მესაძირკვლე, რომელიც თითქმის საუკუნეა, ქვეყნის სამედიცინო განათლების განვითარების სამსახურშია და დროის მოთხოვნის შესაბამისად მომზადებულ კადრებს ზრდის.

პირველი კურსდამთავრებულები

დღევანდელი გადასახედიდან – საუკუნოვანი ისტორიის სნორს – ალბათ, რომ უპრიანი იქნება, გავიხსენოთ ისინი, უანგარო და წრფელი ადამიანები, ღირსეულად და უდრტვინველად რომ მოიხადეს თავიანთი პროფესიული ვალი.

...კაცურკაცობის მაგალითი გახლდათ გრიგოლ (გრიშა) კაკუშაძე, ბრწყინვალე ქირურგი, ადამიანური ღირსებით, პროფესიული სინდისით და პატიოსნებით შემკული პიროვნება, „უვერცხლო მკურნალი“, ამასთან, დიდი გრიგოლ მუხაძის და ნიკოლოზ კახიანის საამაყო აღზრდილი.

...მე-19 საუკუნის ქართულ ინტელიგენტურ ოჯახში აღიზარდა, ულამაზეს ბაღდადში; პეტერბურგის და ვარშავის უნივერსიტეტების კურსდამთავრებულმა მამამ, რომელიც მხარის პირველი პროკურორი, მოსამართლე და ადვოკატი იყო, ასევე, ევროპული ენების უზადო მცოდნეც, შვილსაც შეასწავლა უცხოური ენები – რუსული, გერმანული, ფრანგული, კიდევ – ბერძნული და ლათინური, რაც მას სამომავლოდ ძალიან გამოადგა პროფესიული განვითარების თვალსაზრისით. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის წარჩინებით დასრულების შემდეგ, გრიგოლი ახლადგახსნილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე ჩაირიცხა. იმდროინდელი ინტელექტუალური ელიტის თვალსაჩინო წარმომადგენლები გახლდნენ მისი მასწავლებლები – პროფესორები: ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, გრიგოლ მუხაძე, ნიკოლოზ კახიანი, მიხეილ ასათიანი, ივანე ბერიტაშვილი, ვლადიმერ ვორონინი, იაკობ ანფიმოვი, სვიმონ გოგიტიძე, იოველ ქუთათელაძე უკითხავდნენ ლექციებს და მეცნიერების საფუძვლებს აზიარებდნენ... მერე კი იგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის პირველი გამოშვების წარჩინებული კურსდამთავრებული, გრიგოლ მუხაძემ აიყვანა კათედრაზე ასისტენტად და, როგორც უნიჭიერეს მოწაფეს, საშუალება მისცა, დახელოვნებულიყო და დამოუკიდებლად გაეკეთებინა რთული ოპერაციები. ორდინატურის წლები ქირურგიის ბერმუხასთან გაატარა, ხშირად იყო მუხაძის და კახიანის პირველი ასისტენტი, მაგრამ, როდესაც ხელისუფლებამ ახალგაზრდებს უექიმოდ დარჩენილი ხალხის დასახმარებლად მოუწოდა, გრიგოლმა ლეჩხუმის შორეულ სოფელ ოყურეშს მიაშურა...

...ოჯახი ზრუნავდა შვილისთვის სწავლისა და განვითარების საუკეთესო პირობები შეექმნა – საფრანგეთიდან და რუსეთიდან მისთვის უნიკალურ სამედიცინო ინსტრუმენტებსა და ლიტერატურას იწერდა. დამოუკიდებელი საქმიანობის ხანგრძლივ პერიოდში გრიგოლი ერთნაირი სიძლიერით მუშაობდა ქირურგიის, თერაპიის, გინეკოლოგიის, პედიატრიის, ოტორინოლარინგოლოგიის სფეროში. მისი ინიციატივით გაიხსნა საავადმყოფო და აფთიაქი სოფელ ოყურეშში...

...ოთხი წელი გაატარა ფრონტის წინა ხაზზე მეორე მსოფლიო ომის მძიმე პერიოდში. თვითონ დაჭრილი და კონტუზირებული, ძალას და ენერგიას იკრებდა და სხვათა გადასარჩენად არას იშურებდა. რამდენი ათასის სიცოცხლე უხსნია მის თავდადებას – აუცილებლობიდან გამომდინარე, ხშირად ოპერაციების ღია ცის ქვეშ შეუსვენებლად გაკეთებაც უხდებოდა. ყოფილა შემთხვევა, როცა მის კოლეგა-ქირურგს ოპერაციის დროს გული შესწუხებია, გრიგოლს კი იგი მოუბრუნებია, მისი ოპერაციაც დაუმთავრებია და თავისიც. ვაჟკაცობის მაგალითად კმარა, თუნდაც, ერთი ეპიზოდი მისი ფრონტული და ომისშემდგომი ცხოვრებიდან – 1942 წელს მტრის ზურგიდან ეშელონით დაჭრილები გამოჰყავდათ. გამცილებელი და მეთაური ქართველი ექიმი გრიგოლ კაკუშაძე იყო. ეშელონი გერმანელების ალყაში მოხვდა და მათი ოფიცერი ტყვეების უკან დაბრუნებას და საკონცენტრაციო ბანაკში განთავსებას ითხოვდა. მაშინ გრიგოლმა გერმანულად მიმართა ოფიცერს, რომ მათ ამის უფლება არ ჰქონდათ და ამგვარი ქმედება საერთაშორისო კონვენციით იკრძალება: – ამ საქციელით, მთელ მსოფლიოს, შესანიშნავი ტრადიციების მქონე გერმანელ ერს აზიზღებთ, რისთვისაც მერე სამაგიერო მოგეზღვებათ; ნუ აქცევთ ნაცისტი პოლიტიკოსების მსხვერპლად თქვენს სამშობლოსო... ოფიცერმა ვერ გაუძლო ამ მძიმე ბრალდებას და განკარგულება გასცა მათ გასათავისუფლებლად, შემდეგ, კი, 1947 წელს, კურორტ საირმის გზის მშენებლობაზე დასაქმებულ გერმანელი ტყვეებს შორის „დოქტორი გრიგოლი“ სწორედ იმ ოფიცერმა იცნო, გრიგოლმა რომ მაშინ ტყვეების გათავისუფლება სთხოვა. ქართველი ექიმი სიყვარულით გადაეხვია გერმანელ დიტრიხს, საზოგადოებას კი აუხსნა, რომ მან ათასობით ადამიანის სიცოცხლე იხსნა; გერმანელი შინ წამოიყვანა, კარგადაც უპატრონა, ბოლოს კი მისი გათავისუფლების ნებართვასაც მიაღწია....

... სიცოცხლის ბოლომდე ემსახურა ბატონი გრიგოლი მშობლიური მხარეს – ბაღდადსა და მის ახლომახლო რაიონებში არ ყოფილა ოჯახი, რომლისთვისაც მადლიანი სიტყვა არ შეეშველებინა; მან პაციენტების სიყვარულის დიდი მაგალითი დატოვა. იუმორის გრძნობაც შველოდა – თითქმის მომაკვდავსაც აცოცხლებდა და ამქვეყნიური ცხოვრებისკენ მოაბრუნებდა ხოლმე; ნაოპერაციებ ავადმყოფებს ღამეებს უთევდა; მეტი სიფრთხილისა და საიმედოობისთვის კი ხშირად დამხმარე სამედიცინო პერსონალის საქმესაც თვითონ ასრულებდა; შეჭირვებულებს წამლებს ურიგებდა და მატერიალურადაც ეხმარებოდა; ცხენით დადიოდა მაღალმთიან სოფლებში და ადგილზევე ატარებდა ოპერაციებს, იღებდა მშობიარობებს, გვერდში ედგა კოლეგებს სირთულეების დაძლევაში;

უბადლო მკურნალმა, შეუდარებელმა დასტაქარმა, სამკურნალო ფაკულტეტის ერთ-ერთი პირველი გამოშვების ექიმთა თაობის ღირსეულმა წარმომადგენელმა, პირუთვნელად აღასრულა ჰიპოკრატეს ფიცი, ადამიანთათვის მხოლოდ სიკეთის კეთებას რომ ისახავს მიზნად...

თითქმის ექვსი ათეული წელი იდგა ბატონი გრიგოლ კაკუშაძე ხალხისა და ქვეყნის სამსახურში, ღრმა სიბერემდე იმედს ასხივებდა, უანგაროდ და უშურველად თესდა სიკეთეს... სწორედ ესაა გზა უკვდავებისკენ, გზა, რომელიც სხვათა ბედნიერებისთვის და არა ამბიციური მიზნების დაკმაყოფილებისთვის ბრძოლაში მიილევა ხოლმე და წარუშლელ კვალს ტოვებს...

დარეჯან კომლაძე

„სამედიცინო გაზეთის“
რედაქცია
ვაჟა-ფშაველას
გამზირი 33,
ოთახი 600,
ტ.: 254-24-64

რედაქტორი
ლელა ჯიყაშვილი
კორესპონდენტები:
მანანა ფხალაძე
ტ.:555 29 98 27
დარეჯან კომლაძე
ტ.:558 17 08 47
ნატო ბოლქვაძე
ტ.:555 28 28 97
ელ-ფოსტა
newspapertsmu@gmail.com